პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს.—65 კ.
დანარჩ. ქალაქში-85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ.
განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—20 კ.
სამგლოვიარო განცხ.—5 მ. განმეორებ. განცხ.
შეღავათი 15 პროც. განცხ. მიიღება შუად. 2 ს.
ექსპედიციის ტელეფონი 5—43.

№ 142 (997) სამშაბათი, 24 ივნისი 1924 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 4 კ. (500 მილ.) № 142 (997)

დღიური

— ლონდონში დაარსდა ინდოეთის კომუნისტების დამცველი კომისია.

— ახლო ხანში ანგორაში მოხდება ყოფილ სულთანის ქონების გაყიდვა.

— სამხრეთ-სლავიაში პოლიციამ გააძლიერა კომუნისტების დევნა.

— ჩინეთში თავს დაესხენ საფრანგეთის კონსულს.

— იტალიაში და საფრანგეთში ხდება ფაშისტების საწინააღმდეგო გამოსვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩირაღდანი“ № 12—13

გამოვიდა და დღეს ურიგდება უფასოდ ყველა ხელისმომწერლებს გაზ. „კომუნისტი“-ს სალიტერატურო სამხატვრო ორკვირეული დამატება „ჩირაღდანი“-ს № 12—13

შინაარსი: 1. ე. წ.—ჯონ რიდი (სურათით); 2. ი. **უტუნდგარელი**—იწვის ქვეყანა (ლექსი); 3. ს. თ—ია—პასუხისმგებელი მუშაკის ცოლი—(დრამა); 4. **ნ. ზომლეთელი**—მჭედელი—(ლექსი); 5. **პ. ოდიშელი**—საიდუმლო ნიშნები (თარგმანი); 6. **ალ. მაღლარია**—სალამი—(ლექსი); 7. **მუშა გ. მჭედლიშვილი**—ტერორი—(დრამა); 8. **მუშა გ. შინატეხელი**—ბრძოლის სიმღერა—(ლექსი); 9. **მუშა გ. როინიშვილი**—ორი სურათი—(ლექსი); 10. **მუშა უშ. ჯაში**—ცოტა რამ პირველ გაფიცვის შესახებ თბილისში—(მოგონება); 11. **მუშა გ. ხერუაშვილი**—გაზაფხულის მოლოდინში—(ლექსი); 12. **ი. უკ—ელი**—ბრძოლის დღეებში—(მოთხრობა); 13. **შელი**—მუშათა თეატრები პარიზში (წერილი); 14. **საფო მგელაძე**—მუშა—(ლექსი); 15. **შ. რადიანი**—ფრანკ ბერგვინი (წერილი); 16. **ი. ხინველი**—ომის გენია—(ლექსი); 17. **X**—მეცნიერება და ტეხნიკა—(სურათებით); 18. **ნ. ინასარიძე**—მზიან ქვეყნისაკენ—(ლექსი).

ბიბლიოგრაფიები: 1. **მკითხველი**—„რევოლიუციის მატიანე“, 2. **კ. ჩანი**—„ცეცხლის აკორდები“, 3. **შ. ჯ—ანი**—„პირველ ყოფილ კომუნიზმიდან დღევანდელ კომუნიზმამდე“.

ქრონიკა: უცხოეთის, რუსეთის, საქართველოს: თეატრის, მუსიკის, ლიტერატურის, სპორტის, ქანდაკების, მხატვრობის და კინოს შესახებ.

მხურვალე სალამი ჩვენ ახალგაზრდა გვარდიას

დღეს იკრიბება თავის მორიგ ყრილობაზე საქართველოს ახალგაზრდა ლენინელების კავშირი. ახალი გვარდია კომუნისტური მშენებლების, ხვალინდელი სახე ჩვენი პარტიისა, ერთი აზრით და მისწრაფებით გამსჭვალული, ჯამს გაუკეთებს თავის მიღწევებს ერთი წლის მუშაობის შემდეგ და დაისახავს ახალ ამოცანებს მომავალი წლისათვის.

დიდია მიღწევები წარსულის, კიდევ მეტია ამოცანები მომავლის.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, მაგრამ როგორი გრძელი მანძილით დაშორებული გვეჩვენება ის დრო წარსულში, როდესაც ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა მოშხამული იყო მენშევიზმით და კაციჭამია შოვინიზმით. ასეთ ატმოსფერაში უხდებოდა გასაბჭოების პირველ ხანებში მუშაობა ჩვენ კომკავშირის, ახალგაზრდათა რაზმს ჩვენი პარტიისას. და როდესაც მიღწეული წერტილიდან, დღეს, ჩვენ ვიყურებით ამ ჩარსულისკენ, გადაუმეტებლათ შეგვიძლია აღვნიშნოთ ბრწყინვალე შედეგები ჩვენი ახალგაზრდა ამხანაგების დაუღალავი მუშაობისა.

დღეს სურათი მდგომარეობისა ძირითადად განსხვავდება იმისაგან, რაც იყო წინეთ. ერთიანი რეაქციონური, შოვინისტური ატმოსფერა გაფანტულია, შემაკავშირებელი ძაფები ანტისაბჭოთა ახალგაზრდათა ორგანიზაციების დაწყვეტილია, თვით ორგანიზაციები დაშლილი და გაუქმებულია.

კომკავშირის გავლენის ქვეშ მოქცეულია დღეს უდიდესი ნაწილი ჩვენი მუშური აქტიური ახალგაზრდობისა. ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური შემადგენლობა კავშირისა თანდათან დნება და მის ადგილს იკავებს მშრომელი მასა, ბუნებრივი სოციალური დასაყრდნობი ჩვენი პარტიისა ახლო მომავალში.

ამნაირათ პროცესი ლენინიზაციის არა მარტო იდეოლოგიურ-პოლიტიკურათ, არამედ თავისი სოციალური შინაარსით, შემადგენლობით, კომკავშირში გამალებული ნაბიჯით წინ მიიწევს და ისიც ხდება ღირსეული მატარებელი ჩვენი მომავლისა და იმედების.

აი ეს ორგანიზაცია იკრიბება დღეს.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს განვლილი მუშაობა მისი და დღევანდელი მიღწევები, როგორც ვთქვით გასაკეთებელი მეტია დარჩენილი. გარდა იმისა, რომ მის ფარგლებში უნდა მოექცეს **მთელი** ჩვენი მუშათა ახალგაზრდობა და საბოლოოთ გაიწმინდოს მისი რიგები უცხო ელემენტებისაგან, საჭიროა ამას გარდა „გადამუშავება“, „გადახარშვა“ იმ მასის, რომელმაც კომკავშირს მიაშურა. უდიდესი აღმზრდელობითი და განმანათლებელი მუშაობა მოუხდება კავშირს ამ მიზნით. ამას ემატება ორგანიზაცია იმ სულ ახალგაზრდა რეზერვებისაც, რომლებიც უნდა შევიდნენ ხვალ კომკავშირში. ეს მოითხოვს დიდ დაუღალავ ყოველდღიურ ჩუმ მუშაობას და ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი, უფროსი ამხანაგების, მთელი ჩვენი პარტიის დახმარებით, ახალგაზრდული ენერგია თავს გაართმევს ამ საქმეს და ბრწყინვალე გამარჯვებით დააგვირგვინებს ბრწყინვალეთ დაწყებულ და დღემდე მიღწეულ საქმეს ჩვენი ახალგაზრდა გვარდიისას.

ჩვენი მხურვალე სალამი სრულიად საქართველოს ახალგაზრდა ლენინელების ყრილობას!

6 თუ 8 საათის სამუშაო დღე მოსამსახურეთათვის *)

სამუშაო დღის ხანგრძლივობის და მის გამოყენების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც მრეწველობაში, ისე მის დამხმარე ორგანოებში. შრომის ხელფასი შეადგენს სამეურნეო ხარჯების საგრძნობ ნაწილს. შრომის ხელფასით გამოწვეული ხარჯები შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთლიანად იქნება გამოყენებული სამუშაო დრო. იქ, საცაც ადგილი აქვს სამუშაო დროის მიზან-შეუწონლად გამოყენებას, ცხადია, რომ სამუშაო ქირის ხარჯები ფუჭად წავა და არავითარ სარგებლობას არ მოიტანს.

კაპიტალისტურმა ურთიერთობამ წარმოშვა შრომის ხელფასის მთელი სისტემა (სანარდო, ნაჭრობითი, პრემიალური სისტემა, პროცენტები, ტანტიემა და სხვა). თითოეული ამ სისტემათაგანი მიზნად ისახავდა იმას, რომ სამუშაო დრო გამოყენებული ყოფილიყო რაც შეიძლება მეტი ინტენსივობით.

ამ თვალსაზრისით უნდა მიუდგეთ ჩვენ მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღის შემოღების საკითხს. იქნება ის ჩვენთვის სასარგებლო თუ არა, მოიტანს რაიმე დადებითი შედეგს თუ არა?

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ჩვენ დაწესებულებებში, თუმცა ფორმალურად 6 საათი სამუშაო დრო არის, მაგრამ ფაქტიურად ან სხვანაირად რომ ვსთქვათ, თავის ინტენსივობით, ის არ აღემატება დღეში 2 ან 3 საათს. ეს ითქმის ჩვენს დაწესებულებათა უმეტეს ნაწილზე, მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოუკლებლივ, რომელიც ამ ერთი თვის წინად თვით აწარმოებდა ზედამხედველობას, რომ დაწესებულებაში მოსამსახურეები მოსულიყვნენ თავის დროზე. დამეთანხმებით, რომ სრულ 8 საათზე მოსვლა და 2 საათზე წასვლა **ოდნავადაც** არ სწყვეტს სამუშაო საათების გამოყენების საკითხს. ამ დროის განმავლობაში შეიძლება მოსამსახურემ არაფერიც არ გააკეთოს, ან ისეთი რამ გააკეთოს, და ისე გააკეთოს, რონ საქმეს ოდნავად არაფერი მოემატოს. აურიცხელი სამუშაო საათები იკარგება სულ ფუჭად ჩვენ დაწესებულებებში, რასაც ვერ მოსპობს დროზე სამუშაოზე მოსვლა და წასვლა.

ინსპექციამ დიდი დრო დაკარგა იმის გამოსარკვევად, თუ რომელ დაწესებულებაში რამდენი მომუშავე მოდის დროზე და რამდენ წუთს აგვიანებს. ამით არ განისაზღვრება ინსპექციის მოვალეობა, მას გაცილებით უფრო დიდი დავალებანი აქვს. ის უნდა არკვევდეს სახელმწიფო ორგანოების საერთო მუშაობის შინაარსის სისწორეს და არა გარეგნულ ფორმას.

ასეთ დროს, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოგვიყენებია 6 საათის სამუშაო დღე და ფაქტიურად ნამდვილი მუშაობა სწარმოებს 2—3 საათი, გამოდის ამხ. ტალახაძე და იძლევა წინადადებას 6 საათის მაგივრად მოსამსახურეთათვის შემოღებული იქნას 8 საათის სამუშაო დღე.

ალბად მას არ დაუსვამს თავის თავისათვის საკითხი: გამოვიყენებთ თუ არა ამ 8 საათს სრულიად, როგორც რიგია, და არა ისე, როგორც ეხლა სწარმოებს 6 საათის გამოყენება, თუნდაც იმ დაწესებულებაში, რომლის ერთი ხელმძღვანელთაგანია ის.

ცდება ამხ. ტალახაძე, როცა თავის წერილში უარყოფს იმას, რომ მოსამსახურეთა გონებრივი მუშაობა უფრო დამღალავია, ვიდრე ფიზიკური შრომა. მეცნიერულად გონებრივი შრომის უფრო დამღალავობა დამტკიცებულია (მოსკოვის ბეხტერევის ინსტიტუტში და სხვაგან). თუ ამის შესახებ ტალახაძეს ცნობები არა აქვს, ეს არავის ბრალი არ არის, გარდა თვით ტალახაძისა, რომელსაც უნდა დაეწყო მტკიცება იმის შემდეგ, როცა ამ საკითხს საკმაოდ გაეცნობოდა.

შეცდომაა აგრეთვე ტალახაძისებური მექანიკური გაყოფა: პასუხისმგებელი მომუშავენი გონებრივი შრომას ეწევიან და დანარჩენები—კი არა. ამის საწინააღმდეგო აზრის მტკიცება არა ღირს. ავიღოთ თუგინდ ტალახაძის მიერ მოყვანილი მემანქანე—გადამწერი. მემანქანის მუშაობა უდაოდ უნდა ჩაითვალოს გონებრივ მუშაობათ, რამდენად აქ საჭიროა არა მარტო თითების მოძრაობა, არამედ გადასაბეჭდი მასალის შინაარსის გაცნობა, ხელთნაწერის გარჩევა შინაარსის მიხედვით და ლიტერატურული ენის ცოდნა.

თუ ტალახაძეს მხედველობაში ჰყავს მემანქანე ფრჩხილებში, რომელიც მუშაობს ერთი თითით და გადაბეჭდის დროს არა თუ ასწორებს შეცდომებს, რომელიც არის დაშვებული ავტორის მიერ, არამედ თვით უშვებს ბეჭდვის დროს აუარებელ შეცდომებს, მაშინ, რასაკვირველია, ასეთი მემანქანის მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს გონებრივად. საერთოდ რაიმეს დასამტკიცებლად ყოველთვის საჭიროა ავიღოთ ნორმალური მდგომარეობა და არა—არანორმალური. თუ რომელიმე დაწესებულებაში ცუდი მემანქანეები მუშაობენ (რასაც ხშირი ადგილი აქვს), ეს არ ნიშნავს მას, რომ მათი მიხედვით კარგი მემანქანის შრომა არ ჩაითვალოს გონებრივ მუშაობათ.

ავიღოთ დაწესებულების სულ უკანასკნელი თანამდებობა-რეგისტრატორი, რომელსაც ტალახაძე არ სთვლის „ტვინით“ მომუშავეთ. რას აკეთებს რეგისტრატორი? სწერს ქაღალდის და საქმის მოკლე შინაარსს შემოსავლის და გასავლის წიგნებში. დამეთანხმებით, რომ საქმის მოკლე შინაარსის შედგენასაც თავის განძრევა უნდა, თუმცა იმდენი არა, რამდენიც სხვას. მაგრამ ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ იმ პირებისათვის, ვინც რეგისტრატორებათ არიან, საქმის მოკლე შინაარსის შედგენაც საკმარისად დასაღალავია.

ამხ. ტალახაძე იქნებოდა მართალი, რომ ეთქვა—6 საათის შრომა, რომელსაც ეხლა ეწევა მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი ჩვენ დაწესებულებებში, არ არის დამღლელი. მეც, როცა ვამბობ, რომ გონებრივი და კანტორის შრომა უფრო დამღალავია, ვიდრე ფიზიკური, მხედველობაში მაქვს მხოლოდ და მხოლოდ 6 საათის ნომალურ ინტენსივობით მუშაობა და არა ის მუშაობა, რომელსაც ჩვენ დაწესებულებაში ეხლა შევხვდებით. როცა ჩვენ ისე დავაყენებთ საქმეს (და ეს უთუოდ უნდა შევასრულოთ), რომ მოსამსახურეთა 6 საათის მუშაობას გამოვიყენებთ როგორც რიგია, მაშინ ის იქნება უფრო დამღალავი, ვიდრე 8 საათის ფიზიკური შრომა. ეხლანდელ მუშაობის დროს კი ჩვენი დაწესებულებების მოსამსახურეები შეიძლება დაღალოს საქმის უთავბოლოდ შესრულებამ და ფუნქციების გაურკვევლობამ.

შემდეგ ამხ. ტალახაძეს მოყავს კიდევ ერთი არგუმენტი. „პასუხისმგებელ მოსამსახურეთა სამუშაო დრო სრულიად განუსაზღვრელია, თუ ფორმალურად არა, ფაქტიურად მაინც“. ჯერ ერთი, რომ პასუხისმგებელ მომუშავეთა დრო განუსაზღვრელია არა მარტო ფაქტიურად, არამედ ფორმალურადაც, (შრომის კოდექსის მე-94 მუხლის შენიშვნაში), პასუხისმგებელ მომუშავეთა სამუშაო დროს განუსაზღვრელობა ნაზღაურდება სათანადოთ, როგორც მატერიალურათ, (სამუშაო ხელფასის 50 პროცენტამდე ზედმეტი მუშაობისათვის დაჯილდოება), ისე სხვადასხვა ზომებით (მიმოსვლის საშუალება და სხვა). ამასთანავე უნდა მივიღოთ მხედველობაში განსხვავება პასუხისმგებელ მომუშავეთა (ნამდვილ პასუხისმგებლების, და არა მარტო ჯამაგირის მიხედვით) და სხვა მოსამსახურეთა შორის. პასუხისმგებელ მომუშავეთათვის მუშაობა პროლეტარული დიქტატურის გასამაგრებლად და სოციალისტურ მშენებლობისათვის შეადგენს ყველაფერს. მათ ამის გარდა არაფერი არ იციან. მათთვის არ არსებობს არც ოჯახური ცხოვრება და არც გასართობები, ისე როგორც ეს არის სხვებისათვის. მათი გონება, აზრი, მიზნები და პირადი ცხოვრება დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ამ საქმესთან. სხვა არაფერი არ არსებობს პოლიტიკურად პასუხისმგებელ მომუშავესათვის და არც უნდა არსებობდეს, თუ ის ნამდვილი რევოლიუციონერია, თუ ის ემსახურება არა კარიერას და პირად კეთილდღეობას, არამედ რევოლიუციის საქმის გამარჯვებას. ისინი თავის თავს მსხვერპლად სწირავენ. მათი საზომით სხვების ზომვა არაფერს არ მოგვცემს.

შეიძლებოდა კიდევ სხვა მოსაზრების მოყვანა 8 საათის სამუშაო დღის შემოღების წინააღმდეგ, მაგრამ ესეც საკმარისია, ვინაიდან ის დებულება, რომ ნორმალური გონებრივი შრომა (და არა ის, რომელსაც აქვს ეხლა ადგილი ჩვენ დაწესებულებებში), უფრო დამღალავია—ურყევია, რამდენადაც ეს დამტკიცებულია მეცნიერული გამოკვლევით, (რის შესახებაც, ამხ. ტალახაძეს, როგორც ეტყობა, ცნობები არა აქვს).

კიდეც რომ არ იყოს ეს მეცნიერულად დამტკიცებული, ჩვენ მაინც ვერ გადავალთ 6 საათიდან 8 საათზე, რამდენად ჯერ-ჯერობით ვერ ვახერხებთ მოსამსახურეთა 6 საათის მუშაობის მთლიანად გამოყენებას. ამ 6 საათის გამოყენებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და არა 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

სწორად რომ ვსთქვათ, უნდა დავსვათ საკითხი მოსამსახურეთათვის არსებულ ფაქტიურ 2—3 საათის მუშაობის მაგივრად 6 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ.

ტომელი.

---

*) დისკუსიის წესით.
რედ.

ჯარში მორიგი გაწვევის დამთავრების გამო

ჩვენი გაზეთების ფურცლებზე უკვე იყო აღნიშნული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი არა-ჩვეულებრივი ხალისით და რევოლიუციონური სულისკვეთებით გამოეხმაურა 1902 წ. დაბადებულთა ჯარში გასაწვევი მშრომელი ახალგაზრდობა საბჭოთა ხელისუფლების მოწოდებას და როგორი აღტაცებით ცხადდებოდა ის გასაწვევ პუნქტებზე.

სხვათა შორის აქ აღსანიშნავია არა მარტო გასაწვევი მშრომელი ახალგაზრდობის შორის რევოლიუციონური ენტუზიაზმი და დიდი ხალისი წითელ ჯარში წასვლის, არამედ მშობლების განსაკუთრებული ხალისიც. **მშობლებმა მთელი რიგი განცხადებები შემოიტანეს კომისიებში ოჯახური მდგომარეობით განთავისუფლებული მათი შვილების მოხალისეთ ჯარში გაწვევის შესახებ.**

ამის მთავარი მოტივი, როგორც სჩანდა მათი განცხადებებიდან, იყო ის, რომ ჯარიდან განთავისუფლებულ ყოფილმა წითელარმიელებმა, რომლებიც დაბრუნდნენ სოფლად, დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სოფლებზე. ჯარიდან განთავისუფლებული წითელარმიელები სოფელს დაუბრუნდენ ყველანი წერა-კითხვის მცოდნენ, პოლიტიკურათ განვითარებულნი-კულტურულ მუშაობისათვის მომზადებულნი და ამ გარემოების გამო მშობლები მოითხოვდენ თავიანთი შვილების მოხალისეთ მაინც გაგზავნას ჯარში.

თვით ჯარში გასაწვევი მშრომელი ახალგაზრდობა უარს ანცხადებდა საექიმო გასინჯვაზე: ასეთი არა ჩვეულებრივი ლტოლვა იყო წითელი ჯარისაკენ.

თუ შარშან ჯარში გაწვევის კამპანია იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი, **წრეულს ბევრათ მეტათ გაიზარდა სურვილი წითელ ჯარში** სამსახურისა როგორც გასაწვევ ახალგაზრდობის, აგრეთვე მშობლებს შორის.

ამასთანავე ერთად აქ კიდევ აღსანიშნავია ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება წითელი ჯარის ცხოვრებაში. სახელდობრ ის, რომ, თანახმად საკავშირო რესპუბლიკების ცაკის და კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 62 და 2097 ა.|წ. 14 მარტის თარიღით, ჯარში არ იქნა დაშვებული ის ელემენტები, რომლებიც თავიანთ კლასიურ მდგომარეობით და სხვა გარემოებით მოკლებული იყვნენ აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებებს კონსტიტუციის 120 მუხლის თანახმად (საქ. სოც. საბჭ. რესპ. კონსტიტუცია). ასეთების რიცხვი, მუშაობის დამთავრების შემდეგ, აღმოჩნდა 200.

ამრიგად ჯარში მორიგი გაწვევა დამთავრდა დიდებულად, 1901 წ. დაბადებულთა წითელარმიელების უვადო შვებულებაში გაშვების შემდეგ ჩვენი წითელი ყაზარმები აავსო 1902 წ. დაბადებულმა მშრომელმა ახალგაზრდებმა, თავის სახელმწიფოს წინაშე მოვალეობის მოსახდელად, სამსახ. და პოლიტიკური სკოლის გასავლელად.

უსურვებთ ჩვენი წითელი ჯარის ხელმძღვანელებს: კომანდირებს, კომისრებს და ყველა დანარჩენ პოლიტ-მუშაკებს პირნათლად შეესრულებინოთ თავიანთი მოვალეობა ახალგაზრდობისადმი, როგორც მათი სპეციალური—სამხედრო, ის პოლიტიკურად გაწვრთნის მხრივ.

გაუმარჯოს ჩვენს წითელ ჯარს! გაუმარჯოს მუშურ-გლეხური ქვეყნის დარაჯს!

ქ. გვალია.

ერრიოს და მაკდონალდის თათბირი

საფრანგეთი და ამერიკა იმუშავებენ ჩვენი ცნობის პირობებს

დანიაში კმაყოფილნი არიან საბჭოთა კავშირის ცნობით

მთელ იაპონიაში ხდება მიტინგები საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ

საფრანგეთის მთავრობის ცნობა

პარიზი. 21 ივნისი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ ის ემზადება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლებისათვის; ამის გამო „იუმანიტე“ სწერს. „საფრანგეთის პროლეტარიატი, რომელიც თვალყურს ადევნებს კრედიტორების მანევრებს, მოითხოვს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას“.

უკან იხედებიან.

პარიზი. 21 ივნისი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ საფრანგეთის მთავრობას, სანამ ის განაახლებს ნორმალურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, საჭიროთ მიაჩნია მიიღოს ზოგიერთი წინასწარი ზომები და შეაგროვოს აუცილებელი მასალები. ამ მიზნით მოწვეულ თათბირს დაესწრენ საფრანგეთის სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირის ცნობით. შემდეგი თათბირი მოწვეული იქნება ახლო მომავალში; ამ თათბირის მიზანი იქნება დააჩქაროს ამ საკითხის გადაწყვეტა.

საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკება

ცნობის წინ.

პარიზი. 21 ივნისი. მიღებულ ცნობების თანახმად, ამერიკა და საფრანგეთი იხილავენ საკითხს საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ. ამერიკის პარლამენტი უარს ამბობს დაწვრილებითი ცნობების გამოქვეყნებაზე. საფრანგეთის საელჩო იტყობინება, რომ საფრანგეთის ელჩმა ამერიკის მთავრობას გააცნო საფრანგეთის თვალსაზრისი რუსეთის საკითხში, რომელიც აღნიშნული იყო ერრიოს სიტყვაში; აზრთა ასეთ გაზიარებას ერთმანეთისათვის ჩვეულებრივ ადგილი აქვს ხოლმე მეგობრულ მთავრობებს შორის.

საფრანგეთის ელჩი ამერიკაში ჟიუსერანი მიემგზავრება საფრანგეთში.

ხმების მიხედვით, მოლაპარაკება დაიწყო საფრაეგეთის ინიციატივით, რომელსაც სურს შეუთანხმდეს ამერიკას საბჭოთა კავშირის ცნობისათვის საჭირო წინასწარი პირობების საერთო პროგრამის გამოსამუშავებლათ. ფიქრობენ, რომ ერრიოს და მაკდონალდის მოლაპარაკება ამავე საკითხს ეხება.

გარდა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხისა, ამერიკა და საფრანგეთი იხილავენ აგრეთვე საკითხს იმ უცხოელთა ინტერესების შესახებ, რომელთაც კავშირი აქვთ აღმოსავლეთ-ჩინეთის გზასთან. ამ საკითხის განხილვა გამოწვეულია საბჭოთა კავშირის და ჩინეთის შეთანხმებით, რომელიც ეხება უცხოელთა ინტერესებს. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა გაიგო, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც უკმაყოფილოა ამ შეთანხმებით, ალბათ, მოითხოვს რეპრესიულ ზომების მიღებას ჩინეთის მიმართ; რეპრესიები კი გამოიხატება იმაში, რომ ამერიკის მთავრობა უარს იტყვის ვაშინგტონის ხელშეკრულების დამტკიცებაზე. ეს ხელშეკრულება უფლებას აძლევს ჩინეთს გაადიდოს საბაჟო გადასახადები.

შვეიცარია ნანობს

გონს მოვიდენ.

ბერლინი, 21 ივნისი. შვეიცარიის ეროვნულ საბჭოში პრემიერმა მოტტამ პასუხი გასცა სოციალ-ოემოკრატ გუბერტს, რომელმაც აღნიშნა ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან პოლიტიკურ და ეკონომიურ ურთიერთობათა აღდგენას საბჭოთა კავშირსა და შვეიცარიის შორის; პრემიერმა განაცხადა: „იმ დღეს, როდესაც გაუქმდება საბჭოთა კავშირის მიერ შვეიცარიისათვის გამოცხადებული ბოიკოტი, მოისპობა ის დაბრკოლებაც, რომელიც ხელს უშლის ნორმალურ ურთიერთობათა აღდგენას საბჭოთა კავშირთან. შვეიცარია მომხრე იქნება იმის, რომ საბჭოთა კავშირი შევიდეს ერთა ლიგაში და ის წინააღმდეგი არ არის, თუ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში შესვლამდი ამ უკანასკნელში დანიშნული იქნება საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი“.

მოტტამ დაუმატა, რომ საკავშირო საბჭო არ ემხრობა საფრანგეთის პოლიტიკას და ის მდგომარეობას აფასებს დამოუკიდებლათ.

ამერიკის ხრიკები

არ მოეწონათ.

ნიუ-იორკი. 21 ივნისი. „ივნინგ პოსტ“-ი, რომელიც აღშფოთებულია ჩინეთის უკანასკნელი ნოტით, ბრალს სდებს ჩინეთს იმაში, რომ ეს უკანასკნელი მოქმედობს საბჭოთა მთავრობის ზეგავლენით. გაზეთი სწერს: „ბოლშევიკები სცდილობდენ ხელში ჩაიგდოთ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზა. ეხლა მათ შეიძლება მოახერხონ ეს ჩინეთის დახმარებით. **საბჭოთა კავშირის და ჩინეთის მეგობრობა კარგათ დაიწყო, მაგრამ ეს მეგობრობა არ დაკმაყოფილდება მარტო რკინისგზით**“.

სასურველი შედეგები

მოსკოვი, 23 ივნისი. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს პოლიტიკურ სამმართველოს ყოფილი უფროსი ამხ. ანტონოვ ავსეენკო დაინიშნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლათ პრაგაში. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლათ რეველში დაინიშნა ამხ. კაჟეცკი.

რუმინეთი

რიგა, 21 ივნისი. ფლორესკომ, რომელიც კვლავ დაინიშნა რუმინეთის ელჩად ლატვიაში, განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ ის ეჭვის თვალით უყურებს სამხედრო კონფლიქტის სესაძლებლობის რუმინეთისა და საბჭოთა კავშირს შორის.

ინგლისი

ლონდონი. 21 ივნისი. მუშათა პარტიის კონფერენციაზე უმუშევრობის საკითხის შესახებ დეპუტატმა ვილიამმა განაცხადა, რომ **პარლამენტმა დახმარება უნდა გაუწიოს საბჭოთა კავშირს კრედიტებით, რათა უზრუნველყოფილი იქნენ სამუშაოთი ათასობით ინგლისელები.**

დანია

კოპენჰაგენი. 21 ივნისი. უკეთებს რა კომინტარიებს საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობას, დანიის ბურჟუაზიული პრესა აღნიშნავს, რომ ცნობა გაადვილებს სავაჭრო ურთიერთობას.

გავლენიანი კონსერვატიული გაზეთი „ბერლინგსკე ტიდინდე“ ფიქრობს, რომ ცნობა წარმოადგენს 1923 წელს მიღწეულ შეთანხმების ლოღიკურ დასრულებას.

კომპარტია ოფიციალურად მიესალმა სრულუფლებიან წარმომადგენლობას ცნობის გამო.

ჩვენი მეგობრობა ჩინეთთან

არ იციან რა მოიგონონ.

ნიუ-იორკი, 21 ივნ. სახელმწიფო დეპარტამენტს განზრახული ჰქონდა მიეცა ამერიკის წარმომადგენლისათვის პეკინში ელჩის ხარისხი, ვინაიდან საბჭოთა კავშირი ნიშნავს თავის ელჩს ჩინეთში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი უარყოფს ამას, ეს საკითხი მართალა ირჩევა.

მუშა და გლეხი კორესპონდენტები

წითელი პრესა მუშათა კლასის გარჯითა და ხარჯით უნდა იყოს გამაგრებული. მას მუშათა კლასი უნდა აძლევდეს შინაარსსა და სახეს. პრესას არ უნდა ჰქმნიდეს მარტო „ნასწავლი ხალხი“, მას არ უნდა კითხულობდეს მარტო „ნასწავლი ხალხი“. ეს პრესის ძირითადი ამოცანაა.

ცხადია, ეს ჯერ-ჯერობით ნაწილობრივად თუ არის მოსახერხებელი. ამის შესრულებისათვის საჭიროა მუშათა კლასის კულტურული სიმაღლე საერთოდ. ეს ადვილი ერ არის. ამასთან ჯერ ვერ მივალთ, ამისაკენ მხოლოდ მივდივართ.

ჯერ ერთი ელემენტი გამოვიდა წითელ პრესაში, რომელმაც მას მისცა თავისებური ხასიათი. ეს არის **მუშკორი** თავისი „ფარ-ხმალით“. ის შიშის ზარს სცემს ყველას, თავისი საგრძნობი წვლილი შეაქვს მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზროვნების შემუშავებაში. ამ დარგში საჭიროა იმის მიღწევა, რომ ზოგჯერ შიშის ზარს არ სცემდენ თითონ მუშკორს.

ასეთი მაგალითები ჯერ კიდევ არის. მუშკორს იცავს რედაქცია, მაგრამ მეტად ძნელია მუშკორის მდგომარეობის სავსებით უზრუნველყოფა, როდესაც გამგენი თუ უფროსნი, დაწესებულების თუ ქარხნის მას გადაემტერება.

უფროსებს ყოველთვის შეუძლია რაიმე მიზეზის მონახვა, რომ შური **იძიონ მუშკორზე.**

ასეთ შემთხვევაში მუშკორის მტრებს სასტიკი და სამაგალითო სასჯელი უნდა მიუზღოთ. უნდა გავაძლიეროთ მუშკორის დაცვის შეგნება ყოველ დაწესებულებაში, განსაკუთრებით სასამართლოში. ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, რომ მუშკორი წითელი პრესის პირველი მერცხალია. საჭიროა, რომ მას არ ეწიოს ადრე მოფრენილი მერცხლის ბედი. საჭიროა, მას შევუქმნათ ისეთი ატმოსფერა, რომ ის გაიზარდოს, რიცხვობრივათ გამრავლდეს, მუშკორების ორგანიზაცია გაძლიერდეს.

წითელი პრესის მეორე ელემენტი უნდა იყოს **გლეხკორი, გლეხი კორესპონდენტი.** ეს გაცილებით ძნელია, ვიდრე მუშკორის საქმის მოგვარება. საამისოთ მრავალი დაბრკოლება არსებობს.

მუშკორი ფსევდონიმს ქვეშ ძნელი საპოვნელია. გამგეს თუ უფროს, რომელიც გაბრაზებულია, რომ მისი საქციელი „საგაზეთოთ“ აქციეს, ადვილათ არ შეუძლია მუშკორის მიგნება, მისი გამოცნობა. ვინ იცის ვინ დასწერა. ქარხანაში თუ დაწესებულებაში მრავალი ხალხია, ყველამ იცის წერა, ყველამ იცის საქმის ვითარებაც.

სოფლათ ასეთი მდგომარეობა არ არის, იქ ყველა იცნობს მას, ვისაც „გაზეთში წერა“ შეუძლია. იქ ასეთი პირი იშვიათია. ამიტომ გლეხკორის „მიგნება“, მისი ფსევდონიმის ქვეშ ნამდვილი გვარის მონახვა ძნელი არ არის.

ამას გარდა, სოფლათ უფრო ძნელია თავის დაცვა, სიმართლის აღდგენა. რედაქცია იქედან შორს არის, რომ გლეხკორმა მას მიმართოს, სასამართლოც არ არის ახლოს. ადმინისტრაციას კი შეუძლია მიკერძოების და მიდგომილობის გამოჩენა, კიდევ უფრო უნუგეშობაა, როდესაც თვით ადმინისტრაციას ებრძვი.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ სოფელში გლეხს ხშირათ არა აქვს დიდი მოქალაქეობრივი გამბედაობა და შეუპოვრობა. ეს მთელი საუკუნოებრივი ჩაგვრის შედეგია.

გლეხი ყოველთვის მართალი „უფროსებთან“ დავაში ვერასოდეს ძველად გამართლებული ვერ გამოვიდოდა. ამიტომ ის შეეჩვია მორიდებას, დამორჩილებას, მოთმენას. **ამ** ჩვეულების ნაშთი აქა-იქ დღესაც არის. იგი კარგა ხანსაც იცოცხლებს. ამიტომ გლეხი ხშირად ვერ აქვეყნებს სოფლის პირვაჟამს, ეშინია საქმის შედეგების. მას არც დრო და არც ცოდნა აქვს, რომ სასამართლოებში გამოვიდეს.

რამდენადაც დიდია გლეხი კორესპონდენტების (გლეხკორების) შექმნის სიძნელე, **იმდენად დიდია გლეხკორების საჭიროება.**

სოფელი ყოველთვის ყოფილა უფლებების გადაჭარბების ასპარეზი, მრავალი უპასუხისმგებლობის მოედანი. უეჭველია ის ცოტათ თუ ბევრათ დღესაც ამ მდგომარეობაშია, რადგან არიან კიდევ ჩვენ სახელმწ. აპარატში უცხო ელემენტები.

რუსეთის გაზეთებში ხშირათ შეხვდებით ამ მხრივ საინტერესო ცნობებს. ამას წინეთ მოსკოვის „პრავდა“ სწერდა, რომ ზოგჯერ სოფელში აღმასკომის თუ საბჭოს თავმჯდომარენი ძველი მამასახლისების უფლებებს ითვისებენ და ანგარიშს არ უწევენ არა თუ გლეხობის, არამედ თვით საბჭოს აზრსაცო. თქმა არ უნდა, ჩვენც გვექნება ასეთი სოფლები.

ყოველივე ამას გამოსწორება ესაჭიროება. ამაში დაგვეხმარება გლეხი კორესპონდენტი, მისი სამართლიანი კალამი, მის მიერ ცნობების გამოქვეყნება.

როგორ უნდა შევქმნათ გლეხკორები?

მე ვფიქრობ საამისოთ უნდა გამოვიყენოთ **წითელი ყაზარმა.** წითელ არმიაში თავს იყრის სოფლის ახალგაზრდობა. იქ ის ბევრ რამეს სწავლობს. მას მეტი ცოდნა და გამბედაობა აქვს, ვიდრე მის მამას, მის უფროს ძმას თუ მეზობელს, რომელიც სოფლიდან არ დაძრულა.

საჭიროა მოვაწყოთ სამხედრო **ნაწილებში** სათანადო წრეები, რომლებშიაც აღვზრდით გლეხკორებს, მოვამზადებთ მათ ამ საქმისათვის, მივცემთ მათ სათანადო ცოდნას.

სოფელში დაბრუნებისას ის **იქნება** გლეხკორი. მას ყველა იცნობს. **იგი** ფსევდონიმსაც ვერ გამოიყენებს **თავის** დასაფარავად, მაგრამ **ყოფილი წითელი არმიელი** შესძლებს იმ დაბრკოლებათა გადალახვას, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ.

წითელ მეომარს, წითელ მხედარს არ უღალატებს გამბედაობა, არ შეაშინებს პატარა კაცუნების მუქარა. **ის** სიმართლეს სინათლეზე **გამოიტან.**

ამას გარდა, გლეხკორებმა, **თავისი** მფარველობის ქვეშ, **ან პირდაპირ** თავისი წრიდან უნდა მიგვცენ გლეხკორები. რედაქციაც თავის მხრივ განსაკუთრებულ მფარველობას უნდა უწევდეს გლეხკორებს, უნდა იცავდეს მათ.

ამ რიგათ, ჩვენ შევქმნით **მუშკორთა და გლეხკორთა რაზმს,** რომელიც თავისი მნიშვნელობით არ ჩამორჩება არც სამხედრო და არც სამეურნეო ფრონტზედ მებრძოლ მოწინავე რაზმებს.

მუშკორისა და გლეხკორისაგან უეჭველათ მივიღებთ **ახალი ჟურნალისტის სახეს,** რომელიც ახლოს იცნობს ცხოვრებას. რომელმაც ცხოვრების წიგნიდან მეტი იცის, ვიდრე ჩვეულებრივი წიგნიდან, მისი **ენა,** მისი აზრი უფრო გასაგები, მარტივი და ხალხური იქნება, ვიდრე **არის** ჩვენი ენა, ჩვენი **აზრი** და **ჩვენი** გამოთქმები.

დღეს ჟურნალისტები **ვიტანჯებით,** რომ გასაგებათ ვწეროთ, **მაგრამ** მაინც ვტანჯავთ მკითხველს, **ვიწამებთ** მას.

ახალი ჟურნალისტი, გამოსული მუშკორთა და გლეხკორთა **წრიდან,** გადაგვისვრის **გამოუსადეგარ ხალხს** ჟურნალისტთა ბანაკიდან, **დაიჭერს** მის ადგილს და ღირსეულათ **შეასრულებს თავის მოვალეობას. ამით მოიგებს მუშათა კლასი. ამით ისარგებლებს წითელი პრესა.**

სერ. ამაღლობელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პროპაგანდა“.

პეკინი. 21 ივნ. მიტინგზე, რომელიც გამართა კარახანის საპატივცემლოდ გაზეთ „ჩინ-შაო“-ს რედაქტორმა პროფესორების, პარლამენტის წევრების, გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების და სხვ. მონაწილეობით, კარახანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, **რომ მისი საჯარო გამოსვლები აღშფოთებას იწვევენ უცხოეთის ბურჟუაზიულ პრესაში, რომელიც ბრალს სდებს მას „მოღალატურ პროპაგანდაში“.** კარახანმა სთქვა: „არის ორგვარი პროპაგანდა: ერთია ის, რომლის შემწეობით მატყუარა მწერლები ატყუილებენ ხალხს, არწმუნებენ მას, რომ ჩინეთს არ შეუძლია სუვერენიტეტის შენარჩუნებაო. მეორეგვარი პროპაგანდა მდგომარეობს **ჩინეთის ხალხის უფლებების პატივისცემაში და მიზნად ისახავს ჩინეთის გამოყვანას მძიმე და სამარცხვინო მდგომარეობიდან.** ეს პროპაგანდა სრული სამართლიანობაა და არის შედეგი ჩვენი გულწრფელი სურვილის, რომ ჩინეთის ხალხი გაძლიერდეს, განთავისუფლდეს მჩაგვრელებისაგან. თუ ეს პროპაგანდაა, მე ვიკისრებ მის გაათკეცებას, ვიდრე არ გათავისუფლდება ჩინეთი მის შემბოჭველ მუხრუჭებისაგან“.

ურთიერთობა იაპონიასთან

საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ტოკიო. 21 ივნისი. პეკინში მყოფმა იაპონიის ელჩმა, რომელიც დაბრუნდა ტოკიოში, განაცხადა, რომ **იაპონიის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მოგვარდება ივლისის პირველ ნახევარში**, თუ იაპონიის მთავრობა გაიზიარებს მის თვალსაზრისს რუსეთის საკითხის შესახებ. გაზეთების ცნობით, **ის აუცილებლად სთვლის პირველად საბჭოთა კავშირის ცნობას**, ხოლო შემდეგ კი მეორე ხარისხოვან საკითხების მოგვარებას. **მოსალოდნელია მასიური მიტინგები საბჭოთა კავშირის და იაპონიის სასწრაფოდ დაახლოვების სასარგებლოდ.**

ერრიო ლონდონში

ბერლინი. 23 ივნისი. პარასკევს, საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში, შესდგა ერრიოს მიერ მოწვეული თათბირი, რომელსაც დაესწრენ საფრანგეთის მრეწველობის წარმომადგენლნი; **თათბირზე ირჩეოდა საკითხი იმის შესახებ, რომ მომზადებული იქნეს ნიადაგი საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობათა აღსადგენათ.**

ერრიო და მაკდონალდი.

ლონდონი, 23 ივნისი. ოფიციალურათ იტყობინებიან ინგლისის და საფრანგეთის პრემიერების შეხვედრის შესახებ. შეხვედრის დროს პრემიერებმა განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია დოუესის მოხსენებასთან და გერმანიის შეიარაღებისათვის კონტროლის გაწევის ზომებთან. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნება მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც ორივე პრემიერებს თათბირი ექნებათ იტალიის და ბელგიის მთავრობებთან. შეხვედრის დროს გამოირკვა ის, რომ ორივე პრემიერებს ერთნაირი თვალსაზრისი აქვთ განხილულ საკითხებში. თათბირზე გადაწყდა, რომ ის დაბრკოლებები, რომლებიც წინ ეღობება საფრანგეთს და ინგლისს, გადალახული იქნეს თანამშრომლობის გზით. **გადაწყვეტილია საერთო საკავშირო კონფერენცია მოწვეული იქნეს ლონდონში ივლისის შუა რიცხვებში.**

ორივე პრემიერები სექტემბერში გაემგზავრებიან ჟენევაში ერთა ლიგის სესიაზე დასასწრებლათ.

დღეს საღამოთი ერრიო დაბრუნდა ჩეკერსიდან. ხვალ დილით ის მიემგზავრება ბრიუსელში.

„ახალი ერა ევროპაში“.

ლონდონი, 23 ივნისი. ინგლისის პრესა ახალი ხანის დასაწყისათ ევროპიულ საქმეებში სთვლის იმ ფაქტს, რომ დღეს მაკდონალდი და ერრიო საუბრობდენ ევროპის საქმეებზე საერთოდ და კერძოთ კი იმ გზებზე, რომლითაც შეიძლება საფრანგეთის და ინგლისის დაახლოვება.

საბოლოო გადაწყვეტილება არ არის მიღებული. მაკდონალდი მეტათ დაინტერესებულია მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევით, მაგრამ არ უნდა თავის თავზე მიიღოს ინიციატორის როლი, რადგან მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ კონფერენციის მოწვევამდი მას მოუხდება მრავალი დაბრკოლებების გადალახვა.

ერრიოს განცხადება.

პარიზი, 23 ივნისი. ერრიომ „მორნინგ პოსტ“-ის პარიზელ კორესპონდენტს განუცხადა, რომ მის შემდეგ, რაც საფრანგეთი და ინგლისი განუყრელათ დაუკავშირდენ ერთმანეთს ბრძოლის ველზე,—არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს უთანხმოებას მოკავშირეთა შორის. **საფრანგეთს სურს დაუბრუნდეს მოკავშირეთა საერთო პოლიტიკას.** ეს კი შეიძლება ექსპერტთა კომისიის მოხსენებების განხორციელების გზით.

თანამშრომლობა ამერიკასთან.

პარიზი, 23 ივნისი. „ივნინგ სტანდარდ“-ი ამბობს, რომ ერრიომ და მაკდონალდმა, რომლებმაც დააწესეს მოკავშირეთა კონფერენციის მოწვევის თარიღი და შეიმუშავეს მუშაობის პროგრამა, განიხილეს აგრეთვე საკითხი ამერიკისა და მოკავშირეების თანამშრომლობის შესახებ.

ელაქუცებიან

პარიზი. 21 ივნისი. ერრიოსთან თათბირის შემდეგ გერმანიის დეპუტატმა რეიტშეიდმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს იმედი გამოსთქვა, რომ ერრიო შესძლებს მშვიდობიანობის დამყარებას. საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმება, ბრეიტშეიდის აზრით, შესაძლებელია ექსპერტთა პროექტის საფუძველზე. მოკავშირეებს ფორმალურათ უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ გერმანიას; მაგრამ ამ კონტროლის უფრო წარმატებით განხორციელება შეუძლიათ გერმანიის მუშებს, რომელნიც კონტროლს უწევენ რეაქციონერთა შეიარაღებას. საფრანგეთის უშიშროების საუკეთესო გარანტიაა—გერმანიის ხალხის განწყობილების შეცვლა; გერმანიის ხალხი, დეპუტატის აზრით, მეტად კმაყოფილია საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, რომლის ძალით საფრანგეთის მთავრობა **სულგრძელობას** გამოიჩენს გერმანიის იმ მოქალაქეებისადმი, რომელნიც დასჯილი არიან პასიური წინააღმდეგობისათვის რურში.

ერრიოს განცხადება.

ლონდონი. 21 ივნისი. ლონდონში ჩასულმა ერრიომ კორესპონდენტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მოკავშირეების დაახლოვება, რომელმაც წარსულში დიდი შედეგები გამოიღო, აუცილებელია საერთაშორისო მშვიდობიანობის ინტერესებისათვისო.

პოლონეთის მთავრობა სტყუის

სამხედრო მინისტრის გამოსვლა.

ვარშავა. 21 ივნისი. პოლონეთის სეიმში სამხედრო მინისტრმა სიკორსკიმ, რომელიც შეეხო საკითხს სამხედრო მოსახლეობის შესახებ განაპირა კუთხეებში, განაცხადა, რომ სამხედრო პირები ესახლებიან უმთავრესათ პოლონეთის მემამულეების მიწებზე. **ამ განცხადებამ აღშფოთება გამოიწვია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებში, რომელთაც შეუერთდენ ზოგიერთი გლეხები—„ვიზვოლენცები“**, ამას შედეგათ მოყვა განხეთქილება „ვიზვოლენცები“-ს მემარცხენე და მემარჯვენე ფრთებს შორის.

შემდეგ სიკორსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთი არ არის იმპერიალისტური ქვეყანა, რასაც ამტკიცებს პოლიტიკა ლიტვის მიმართ, **რომლის დაპყრობა პოლონეთს შეუძლია ორი ჯავშნიანი მატარებლის დახმარებით.**

ნეიტრალიტეტის პოლიტიკა.

აღნიშნა რა, რომ საბჭოთა კავშირი იარაღდება, სიკორსკიმ განაცხადა, რომ პოლონეთს არ სურს იყოს არც ბარიერი, რომელიც საბჭოთა კავშირს აშორებს ევროპისაგან და არც ისეთი ადგილი, რომელიც ერთმანეთს აშორებს პრუსიის მიმლიტარიზმს და რუსეთს.

ფაშისტების ბანდები

„ფაშიზმი მზად არის“.

რომი, 23 ივნისი. მუსოლინის გაზეთი „პოპოლო დ'იტალია“, რომელიც მილანში გამოდის, სწერს: „ჩვენ ვერ მოვითმენთ იმ სიცრუის კამპანიას, რომელიც ჩვენ წინააღმდეგ დაიწყო. რაც არ უნდა მოხდეს, **ფაშიზმი მზად არის ყველაფრისათვის**“.

სენატის პასუხი მეფის სიტყვაზე.

რომი, 23 ივნისი. სენატის საპასუხო მიმართვაში მეფის სიტყვაზე, მატეოტის მკვლელობის შესახებ ნათქვამია: „როგორ ეწინააღმდეგება ის **საშინელი მკვლელობა, რომელმაც შეურაცხჰყო პარლამენტი, სიტყვებს მშვიდობიანობის შესახებ. მთელი ქვეყანა აღშფოთებულია და მოითხოვს კანონიერების შესრულებას.** შეუძლებელია ქვეყნის დამშვიდება, სანამ დამნაშავე არ იქნება დასჯილი“.

მატტეოტის მკვლელთა დაპატიმრება.

რომი. 21 ივნისი მილანში დააპატიმრეს მატტეოტის მკვლელი-ავსტრიელი ავანტიურისტი გირტცელი. დარჩა რა უსაქმოთ, ის ჩაეწერა ფაშისტურ პარტიაში და მოხვდა დუმინის ხელმძღვანელობით შემდგარ ბანდაში, **რის შემდეგაც გაგზავნილი იყო პროვოკაციული მუშაობის საწარმოებლათ კომუნისტებს შორის ნეაპოლში**, სადაც ის შემთხვევით დატუსაღებული იქნა; შემდეგ ის გაანთავისუფლეს ფაშისტების ცენტრალურ კომიტეტის საფინანსო-ადმინისტრატიული განყოფილების გამგის—მარინელლის შუამდგომლობის თანახმად; მარინელლიმ მას მისცა ფული რომში გასამგზავრებლათ. იქ დუმინიმ გირტცელს დაავალა თვალყურის დევნება მატტეოტისათვის. დაპატიმრებულია აგრეთვე მარინელლიც.

რატომ დაიხურა ფაშისტური გაზეთი.

რომი. 21 ივნისი. შეწყდა გაზეთ „კორრიერე იტალიანო“-ს გამოცემა; გაზეთის შეჩერება გამოწვეულია იმით, რომ ამ გაზეთის რედაქტორი პასუხისგებაშია მიცემული და მას **ბრალათ ედება მონაწილეობის მიღება მატტეოტის მკვლელობაში.**

სამოქალაქო ომით იმუქრებიან.

რომი. 21 ივნისი. „პოპოლო დ' იტალია“ აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ გავიდა ოპოზიციის მოთხოვნილება მუსოლინის გადადგომის შესახებ, **მაშინ ფაშისტები დაიწყებენ სამოქალაქო ომს.**

ფაშისტების წინააღმდეგ

ანტიფაშისტური გამოსვლები.

პარიზი. 23 ივნისი. პრე-სენ-ჟურვეში, პარიზის მახლობლად, კომუნისტებმა გამართეს ანტი ფაშისტური მანიფესტაციები.

პარიზი. 23 ივნისი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად **იტალიის პროვინციაში ადგილი ჰქონდა ანტიფაშისტურ გამოსვლებს. მღელვარების შესაჩერებლად მუსოლინი მართავს თათბირს ფაშისტების ლიდერებთან.**

შესაძლებელია, რომ უმრავლესობის დეპუტატები უარს იტყვიან იტალიის პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე.

ლონდონი. 23 ივნისი. ბოლონიაში და იტალიის სხვა ცენტრებში მოწვეულია ფაშისტების ყრილობები.

იტალიაში მოუთმენლად ელოდებიან მუსოლინის სიტყვას სენატში სამშაბათს. ფიქრობენ, რომ თავის სიტყვაში პრემიერი გამოარკვევს მთავრობის პოზიციას მატეოტის მოკვლის საქმეში.

მუსოლინის კრიზისი.

რომი, 23 ივნისი. იტალიის ოპოზიციონური პრესა ჰკიცხავს ფაშისტების ლიდერებს, რომელთაც კავშირი აქვთ მატეოტის საქმესთან; ამით პრესას სურს შეარყიოს ქვეყნის ნდობა დღევანდელ მთავრობისადმი, რათა მუსოლინი იძულებული გახდეს შეიტანოს განცხადება გადადგომის შესახებ,

ფაშისტური გაზეთები დაჟინებით ამტკიცებენ, რომ ფაშისტური მილიციის გენერალ-დირექტორი დე-ბონოსენატორი სარგებლობს საპარლამენტო ხელშეკრულობით და მაშასადამე მისი საქმის გარჩევა არ შეუძლია ჩვეულებრივ ტრიბუნალს, არამედ ის უნდა გაასამართლოს სენატმა.

რეაქციის თარეში ფინეთში

კომპარტიის დარბევა.

ჰელსინგფორსი. 21 ივნისი. საქმის გარჩევიდან ნახევარი წლის გასვლის შემდეგ გამოქვეყნებულია აბოსის უზენაეს სასამართლოს განაჩენი იმ კომუნისტების შესახებ, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის განზრახვა. **გასამართლებულია 89 კაცი**, მათ შორის სეიმის დეპუტატი, რედაქტორი, საოლქო ორგანიზაციების მდივნები და სხვ. **მათ მიესაჯათ ციხეში დაპატიმრება 6 თვიდან 3 ნახ. წლამდე სამოქალაქო უფლებების წართმევით. ზოგიერთებს მიესაჯათ სასჯელი პირობით. განთავისუფლებული ბრალდებულები ისევ დააპატიმრეს.**

სასამართლოს დადგენილებით პარტიული ორგანიზაცია დაშლილად ითვლება. პროკურორის მოთხოვნა პარტიის სტამბის კონფისკაციის შესახებ უარყოფილ იქნა. პარტიული გაზეთები კონფისკაციით იქნა ჩამორთმეული. **საერთოთ ყველა ბრალდებულებს მიესაჯათ 300 წლის ციხე.**

კომპარტიის დევნა გერმანიაში

სიმართლისათვის.

ბერლინი. 21 ივნისი. კონფისკაცია უყვეს კომუნისტური გაზეთის „ველტამ ზონტაგ“-ის ნომერს. რედაქცია პასუხისგებაში მისცეს ღალატის ბრალდებით იმის გამო, რომ მან მოათავსა კომფრაქციის შეკითხვა ბავარიის ლანდტაგში საიდუმლო ფაშისტური თავდაცვის საზოგადოების მოწყობის შესახებ.

წარმოების შემცირება.

ბერლინი. 21 ივნისი. მრეწველობის ყველა დარგებში წარმოება მცირდება. ლითონის და ხის დამმუშავებელ მრეწველობაში მცირდება მუშების რაოდენობა. **მოსალოდნელია მუშების მასიური დათხოვნა ტყავეულის და ტანთსაცმელების მრეწველობაში**, რურში მოსალოდნელია მუშაობის შეწყვეტა მცირე წარმოებებში.

მუშები იტანჯებიან.

ბერლინი. 21 ივნისი. ტყავეულობის და სასპორტო მრეწველობაში ფრანკფურტში და ოფენბახში დაითხოვეს 10,000 მუშა.

კომუნისტების დეკლარაცია

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში

პარიზი. 21 ივნისი. ხუთშაბათს გაიმართა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომა, რომელზედაც პარტიის წარმომადგენლებმა დეკლარაციები წაიკითხეს. **სხდომა მეტად მღელვარე იყო.**

სოციალისტების დეკლარაციაში ნათქვამია, რომ საფრანგეთს სურს მხოლოდ მშვიდობიანობა და ამ სურვილს უერთდება აგრეთვე „მშრომელთა წარმომადგენელი“—საფრანგეთის სოციალისტური პარტია. სოციალისტები მხარს დაუჭერენ მთავრობას. მხოლოდ მოითხოვენ თავისი პროგრამის ცხოვრებაში გატარებას.

კომუნისტების დეკლარაციაში, რომელიც გეშერიმ წაიკითხა, ნათქვამია, რომ **პარლამენტს არ ძალუძს სერიოზულათ გააუმჯობესოს მშრომელთა მდომარეობა. მშრომელები განთავისუფლდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ძალით მოიპოვებენ ძალაუფლებას. კომუნისტები შევიდენ პარლამენტში იმიტომ, რომ პირველ რიგში დაამტკიცონ ბურჟუაზიული დემოკრატიის უილაჯობა და უსუსურობა. მემარცხენე ბლოკი იარაღია კაპიტალისტების ხელში და ის ვერ შესძლებს ვერც ერთი თავისი დაპირების შესრულებას. რეფორმისტმა სოციალისტებმა და სინდიკალისტებმა უღალატეს მუშათა კლასს.**

კომუნისტები მოუწოდებენ მუშათა კლასს რევოლიუციონური ბრძოლისაკენ, რომელიც უნდა დამთავრდეს საბჭოთა წყობილების დამყარებით.

როცა გეშერი ჩამოვიდა ტრიბუნიდან, სოციალისტები ეცენ მას და რამდენიმეჯერ გაარტყეს, სანამ კომპარტიის წევრები მიეშველებოდენ მას.

გერმანია იარაღდება

გერმანიის სამხედრო ძალები.

პარიზი. 23 ივნისი. ბერლინში ფონგეშმა განაცხადა, რომ **ერრიოს სიტყვებს არალეგალური სამხედრო ორგანიზაციების შესახებ გერმანიაში აქვს საფუძველიო.**

პარიზი. 23 ივნისი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, ელჩების კონფერენცია მოსთხოვს გერმანიას დაემორჩილოს მოკავშირეთა კომისიას შეიარაღებაზე კონტროლის საკითხში.

გერმანიის მთავრობის მემორანდუმი.

პარიზი. 23 ივნისი. გუშინ გერმანიის ელჩმა ლონდონში გადასცა ბრიტანეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მემორანდუმი, რომელშიაც გამოთქმულია გერმანიის მთავრობის შეხედულება გერმანიის დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ექსპერტთა მოხსენებებზე.

გენერალი ნოლლე გერმანიის შეიარაღების შესახებ.

პარიზი. 23 ივნისი. „მორნინგ პოსტში“ გამოქვეყნებულია გენერალ ნოლლეს საუბარი, რომელიც მას ჰქონდა პრესის წარმომადგენელთან სამხედრო მინისტრათ დანიშვნის წინ.

გენერალმა ნოლლემ განაცხადა: „ვერსალის ხელშეკრულების 160,173 და 174 მუხლების დარღვევით, გერმანია ახდენს თავის სამხედრო ძალების რეორგანიზაციას შეტევითი ოპერაციების წარმოების მიზნით, **„შუტცპოლიცეი“, რომელიც შედგენილი იყო ბალშევიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, ფაქტიურად გახდა მეორე არმიათ.** იმ მიზნით, რათა გვერდი აუაროს ხელშეკრულების მუხლს სავალდებულო სამხედრო სამსახურის აკრძალვის შესახებ. **გერმანიამ შემოიღო სამხედრო სამსახურში თავისუფალი შესვლა და აგრეთვე სასპორტო საზოგადოებები სამხედრო შეიარაღებით.** ამ სამხედრო შეიარაღებას და მასალებს ამზადებენ გერმანიის კერძო წარმოებები, რომლებზედაც არ ვრცელდება მოკავშირეთა სამხედრო კონტროლი. გერმანიის გენერალური შტაბი და სამხედრო სასწავლებლები განაგრძობენ მუშაობას ახალი სახელწოდებით.

სხვადასხვა ამბები

— **ინდოეთის კომუნისტების დასაცავად.** ლონდონში კომპარტიის თაოსნობით, დაარსდა ინდოეთის კომუნისტების დამცველი კომისია.

— **კომუნისტების მხარეზე გადმოდიან..** იტალიის მაღაროს მუშების ფედერაციის მდივანი კუკი კომუნისტებს მიეხრო.

— **მოლები თხოვენ შახს დაბრუნდეს.** ორმოცმა რეაქციონერმა მოლამ დეპეშა გაუგზავნა შახს და სთხოვა დაბრუნდეს სპარსეთში.

— **საბერძნეთში.** მთავრობის კრიზისი დასრულდა. მთავრობაში შევიდა 4 ახალი მინისტრი, ზომიერი რესპუბლიკანელები.

— **კომუნისტების დევნა სამხრეთ-სლავიაში.** სამხრეთ-სლავიაში პოლიციამ გააძლიერა კომუნისტების დევნა, განსაკუთრებით გლეხობით დასახლებულ რაიონებში.

— **ოპოზიციონური პარტიის ყრილობა.** სოფიაში (ბულგარეთი) შესდგა ოპოზიციონური პარტიის „ხალხის ერთობა“-ს, ყრილობა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების და ბალკანეთის სახელმწიფოების ფედერაციის შექმნის შესახებ.

— **თავდასხმა საფრანგეთის კონსულზე.** კანტონში (ჩინეთი) თავს დაესხენ საფრანგეთის კონსულს.

პარტიული ცხოვრება

ს. კ. პ. მაზრკომებს და ოლქკომებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტისი (კომპარტიისა და რევოლიუციის ისტორიის კომისია) რეგულიარულათ სცემს სქელტანიან ისტორიულ ჟურნალს „რევოლიუციის მატიანე“-ს ქართულ ენაზე. „რევოლიუციის მატიანე“-ში იბეჭდება კომპარტიისა და რევოლიუციის წარსული მოძრაობის შესახებ ისტორიული წერილები, დოკუმენტები, მასალები, რომელიც პარტიის წევრთათვის საქართველოს მასშტაბით რევოლიუციის ისტორიის შესასწავლად საჭიროა და სავალდებულოა.

ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

„რევოლიუციის მატიანე“ არის ცეკას ისტორიული ორგანო.

საქართველოს კომპარტიის ცენტ[illegible] რა ამას [illegible] წესით სავალდებულოდ ხდის ყველა სამსახურში მყოფ (ქართულის მცოდნე) კომუნისტისათვის,—იყოს ამ ჟურნალის მუდმივი ხელის მომწერი, იქონიოს იგი ყველა პარტიულმა ამხანაგმა, რათა ახალგაზრდა რევოლიუციონერებს და მომავალ თაობას შესაძლებლობა მიეცეს რევოლიუციონური წარსულის შესწავლისა:

გამოარკვიეთ და დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მუდმივ ხელის მომწერთა რაოდენობა; აგრეთვე, რამდენი ცალი გამოგიგზავნოთ მორიგი ნომერი, რომელიც მზად იქნება ივნისის გასულისათვის.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი
ბ. ლომინაძე.
პარტისის გამგე **ს. თალაკვაძე.**

ოზურგეთის მაზრის 1-ლი საფეხურის პარტიული სკოლის მსმენელთა მეორე გამოშვება

12 ივნისს ოზურგეთის მუშათა კლუბის დარბაზში გაიმართა საზეიმო სხდომა—პარტიულ სკოლის მსმენელთა მეორე გამოშვების გამო. სხდომა გაიხსნა პარტსკოლის ლექტორ ამხ. ნ. დოლიძის მოკლე სიტყვით.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა პარტსკოლის გამგემ ამხ. თ. ჩიჩუამ, რომელმაც ნათლად განმარტა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, პარტსკოლის მსმენელთა მოვალეობა და მათი ამოცანები.

ცეკას და ცენტროპარტსკოლის სახელით მოგვესალმა ამხ. კ. ორაგველიძე რომელიც ზოგადათ შეეხო და განმარტა თანამედროვე მდგომარეობა სხვადასხვა ქვეყნებში. მანვე აღნიშნა პარტსკოლების დადებითი მხარეები, უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებთან შედარებით, განმარტა პარტსკოლის მსმენელებს ამოცანები, თუ როგორ უნდა მოიხმარონ მათ თავიანთი ცოდნა პროვინციაში მუშაობის დროს და სხვა.

ოზურგეთის სამაზრო კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ოზმაზკომის წარმომადგენელმა ამხ. ი. ბარამიძემ. მანვე დაასაჩუქრა მსმენელები საპოლიტიკო - სახელმძღვანელო წიგნებით. მოგვესალმა აგრეთვე ცენ პარტსკოლის და ქალთა წრის სახელით ამხ. ქ. თავართქილაძე, რომელმაც განმარტა ქალთა მოძრაობის საქმეში კურსანტთა მოვალეობა.

შემდეგ სამადლობელი სიტყვით გამოვიდა სკოლის მსმენელი ამხ. ი. უშვერიძე, რომელმაც დაწვრილებით დაახასიათა პარტსკოლის მსმენელთა მუშაობა და მათი ამოცანები მომავალში. ასეთივე, სიტყვით გამოვიდენ მსმენელი მ. ფარულავა და გადახაბაძე. შემდეგ ცენტრო პარტსკოლის ლექტორი მ. გოგიბერიძე, გურიის ახალგაზრდობის სახელით ამხ. ს. ორაგველიძე. დასასრულ მოხდა მსმენელთა სურათის გადაღება.

ივ. ტრაპაიძე.

დროშის გადაცემა სართიჭალის ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედზე

22 ივნისს შესდგა სართიჭალის ა. კ. კავშირელების და უპარტიოთა გაერთიანებული კრება, რომელსაც დაესწრო სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედიდან წარმომადგენელი ამხ. ჰეიშვილი. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გარე-კახეთის ახალგაზრდათ კომკავშირის მდივანი ამხ. ღვინერია. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, მოხსენება ამხ. ჰეიშვილის, 2) დროშის გადაცემა სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედისაგან სართიჭალის უჯრედზე ნიშნად შეფობისა, 3) მიმდინარე კითხვები. ამხ. ჰეიშვილმა განუმარტა ახალგაზრდობას საბჭოთა ხელისუფლების შინაარსი, მოიყვანა მაგალითები ჩვენი აღმშენებლობისა და მუშაობის სხვა და სხვა დარგში.

მანვე აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობა მთელის ძალღონით ებრძვის უცოდინარობას და ცრუმორწმუნეობას. დასასრულ მოუწოდა სოფლის ახალგაზრდობას ქალაქის ახალგაზრდობასთან ძმური კავშირისაკენ. შემდეგ ჰეიშვილმა გადასცა დროშა სართიჭალის ახ. კომკავშირის უჯრედს სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედისაგან.

მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტის უჯრედის მიერ იქნება ზომები მიღებული სართიჭალის ახალგაზრდათა მშრომელების კულტურულათ წინ წაწევისათვის. შემდეგ სამადლობელი სიტყვები წარმოსთქვეს გარე-კახეთის კომკავშირის რაიკომის მდივანმა ამხ. ღვინერიამ, რაიპარტკომის მდივანმა ფირიაშვილმა, ინსტრუქტორმა სეხნიაშვილმა და სხვებმა.

სიტყვების შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ახალგაზრდობა ესალმება კომპარტიას და საბჭოთა მთავრობას, ფიცს სდებს რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლოს მათი იდეების მსოფლიო გამარჯვებისთვის.

გაუმარჯოს ქალაქის და სოფლის ხალგაზრდობის ძმურ კავშირს! გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ა. იორისპირელი.

საქართველოს კომკავშირის მეშვიდე ყრილობისათვის

საქართველოს კომკავშირის მორიგი ყრილობა წინ უსწრებს ამიერ-კავკასიისა და შემდეგ სრულიად საკავშირო ყრილობას, რომელიც 10 ივლისს უნდა შესდგეს მოსკოვში. დღემდი საქართველოს კომკავშირის ყრილობების მოწვევის ვადა არ იყო შეთანხმებული საკავშირო ყრილობის ვადასთან და ამრიგათ, ერთგვარ შეუთანხმებლობას ჰქონდა ადგილი.

ამ ყრილობამ ჯამი უნდა გაუკეთოს არა მარტო წარსული წლის მუშაობას, არამედ მთელ მუშაობას გასაბჭოების შემდეგ, ვინაიდან ეს წელი გარდატეხის წელია მრავალმხრივ. შედეგები, რომელსაც მივაღწიეთ წარსული წლის განმავლობაში, არაჩველებრივათ დიდია, მაგრამ ეს არის არა მარტო წარსული წლის წარმატება, არამედ მთელი წინანდელი პერიოდისაც. ჩვენ აქ აღვნიშნავთ ყველაზე უფრო დამახასიათებელთ მათ შორის. პირველ ყოვლისა მუშაობის პირობები—უფრო ნორმალურია. **ანტიკომუნისტური ორგანიზაციები, რომლებთანაც ჩვენ ვაწარმოებდით ბრძოლას—დაიშალენ.**

მთელი ჩვენი იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა მათთან არსებითად იყო ბრძოლა საქართველოს მთელი ახალგაზრდობის დასაპყრობად, ბრძოლა მისი ხელმძღვანელობისათვის.

1923 წლის 29 ოქტომბრის აქტი —ცარიელი ხმა როდია. ეს არის საქართველოს შეკავშირებული და შეუკავშირებელი მრავალ-ათასი ახალგაზრდის, უმთავრესად ახალგაზრდა ინტელიგენციის—მოწაფეობის ორგანიზაციულად გადასვლა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობის შორის ჩვენ ვიყავით, და მით უფრო ახლა ძლიერი ვართ. უნდა დაგვეპყრო მოწაფეობა. და ჩვენ ეს შევსძელით. მოწაფეთა მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებმაც სისტემატიური ხასიათი მიიღეს, ზოგან კი კონფერენციები,—ამისი საუცხოვო დამამტკიცებელი ფაქტია. იმაში, რომ საშუალო და უმაღლესი სკოლების მოწაფეები ჩვენს წინააღმდეგ იყვენ განწყობილი —ამაში ნაწილობრივ თვით ჩვენ ვართ დამნაშავე. ჩვენ არ ვაქცევდით მათ შესაფერ ყურადღებას, არ ვაბამდით მათ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში, მათ არაფერი იცოდენ ჩვენი პოლიტიკის შესახებ ამა თუ იმ საკითხებში და ჩვენი პრაქტიკული მიღწევების შესახებ. აი რატომ იყო, რომ ყოველგვარი ვიგინდარები მენშევიკებისა და მათი ახალგაზრდა თანამებრძოლების სახით სარგებლობდენ ამ ჩვენი სისუტით და უსირცხვოდ გვისისებდენ ჩვენ მათ. მაგრამ ამას ხოლო მოეღო. ეს არის ჩვენი პირველი პოლიტიკური გამარჯვება. მეორე უფრო სერიოზულ გამარჯვებას წარმოადგენს ის, რომ საქართველოს მთელი მუშური ახალგაზრდობის 85—87 პროცენტი კომკავშირის რიგებში არის გაერთიანებული.

ამრიგათ, ჩვენ შევსძელით ჩვენი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა მთელი მუშურ ახალგაზრდობაზე. ჩვენ შევსძელით აგრეთვე მუშა-ახალგაზრდობის განმანათლებელ ორგანიზაციების როგორც არის საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლები და სხვ. და საერთო განმანათლებელ კურსების რიცხვის გადიდება. დიდი შედეგებია აგრეთვე მიღწეული მუშა-ახალგაზრდობის შრომის ხელფასის გადიდების საქმეში. წარმოებაში მომუშავე ახალგაზრდობის 60-ზე მეტი პროცენტი აღნიშნულ სკოლებში მეცადინეობს. შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების უფრო და უფრო განმტკიცების პირობებში ჩვენ შევსძელით გლეხური ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის გაძლიერება. გლეხურ ახალგაზრდობაში კულტურულ საჭიროებათა ზრდას ვამჩნევთ. მრავალ ადგილებში კომკავშირი პირველ როლს თამაშობს ყველა ახალ საქმეებში და ერთად ერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს. ამის გამო ჩვენი კავშირი შეუჩერებლათ იზრდებოდა. უკანასკნელი 9 თვის განმავლობაში ჩვენი რიგები 6000 კაცით გაიზარდა. პირველი მაისისათვის ჩვენი ორგანიზაციის წევრთა რიცხვი უდრიდა—21. 292. ამათგან: მუშები—4924, გლეხები—11.709, მოსამსახურეები—1730 და მოსწავლეები—2850. წარსული საანგარიშო წლისათვის ორგანიზაციაში მუშები შეადგენდენ 19,8 პროცენტს, ახლა—23,3 პროც., ე. ი. მუშების რაოდენობა ორგანიზაციაში 3 ნახევარი პროცენტით გაიზარდა. მაგრამ მოწაფეების პროცენტი საგრძნობლათ შემცირდა. იყო 16 პროც., დარჩა—13 პროც. ასევე მოსამსახურეების რაოდენობაც, ცოტათი გაიზარდა გლეხური ახალგაზრდობის რაოდენობა. ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ზრდა სრულიად ჯანსაღ ნიადაგზე ხდებოდა. მიღწეული შედეგები უნდა განვამტკიცოთ. მაგრამ ამით არ ისაზღვრება ჩვენი მიღწევები. პოლიტგანათლების სფეროში ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. ქალაქის ორგანიზაციებში შემოღებულია პოლიტგანათლების ერთიანი სისტემა, რომელმაც დაამტკიცა თავისი ცხოველმყოფელობა, მაგრამ ზოგიერთ ცვლილებებს მოითხოვს. სოფლათ ამ დარგში ისტორიის არქივისათვის ჩასაბარებლათ უნდა ჩავთვალოთ ის სქოლასტიკა პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაციაში, რომელსაც დღემდი ჰქონდა ადგილი: დამუშავებულია მეტად საინტერესო მასალა ე. წ. პოპულიარულ პოლიტსაუბრების სახით, რომლებშიც სხვა მასალებს შორის, შედის მასალა ბუნებისმეტყველებიდან,—და მეორე წიგნი—აგრონომიული საუბრები, რომელიც სავალდებულოა შესასწავლათ თითეული კომკავშირელისათვის. სოფლისათვის საჭირო საკითხების ასეთი სისტემით დამუშავება საშვალებას, მოგვცემს ავამაღლოთ კომკავშირელის სასოფლო-სამეურნეო, საერთო კულტურული და პოლიტიკური დონე და შესაძლებლობას მისცემს ჩვენს სოფლის უჯრედს გახდეს ნამდვილი, ახალი კომუნისტური კერა სოფლათ. ფართედ განვითარდა ჩვენში მუშათა კომუნისტური მოძრაობა. დიდი შედეგებია მიღწეული კომუნისტური აღზრდის საქმეში, ის უფრო და უფრო პოპულიარული ხდება. წარსულ წელში ბავშვების რიცხვი კომუნისტურ ჯგუფებში უდრიდა 6000, ახლა—11,000. სათანადო დონეზე არის აგრეთვე დაყენებული მუშა მოსახლეობის ფიზიკურად გაჯანსაღების საქმე. წარსულ წელში ფიზკულტურის წრეები სრულიად არ არსებობდა, წრეულს კი 143 ფიზკულტურის წრე გვაქვს 8000 კაცით, ამ რაოდენობიდან 63 პროცენტს კომკავშირელები შეადგენენ. უპარტიო ახალგაზრდობა ზღვასავით მოაწყდა კომკავშირს და ისინი რომლებსაც მრავალი მიზეზების გამო ჩვენ ვერ ვიღებდით, კმაყოფილდებოდენ ჩვენს პოლიტწრეებში და კლუბებში მონაწილეობით. ამრიგათ ჩვენი ახალგაზრდა კომუნისტური არმია, რომელიც ჩვენს კომუნისტურ ქვაბში იხარშება, 40,000-დი აღწევს. ეს უძვირფასესი საჩუქარია ჩვენი, ლენინის პარტიისათვის. კომკავშირმა გაამართლა თავისი დანიშნულება. მხოლოდ უნდა გავადიდოთ პარტიული ხელმძღვანელი წრე.

მართალია, აქაც გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები (კ. პ. წევრების რიცხვი კომკავშირში უდრიდა 2,7 პროც., ახლა—4,2 პროც.-ს), მაგრამ ეს ცოტაა. საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა,—დავკმაყოფილდეთ ჯერ-ჯერობით იმით, რაც აღვნიშნეთ და გადავიდეთ იმ ამოცანების აღნუსხვაზე, რომლებიც უნდა გადასჭრას საქართველოს კომკავშირის მეშვიდე ყრილობამ.

პირველი და მთავარი საკითხი—ეს არის კომკავშირის და მთელი ახალგაზრდობის აღზრდა ლენინის პრინციპების მიხედვით. ყველა საკითხები ჩვენ უნდა გავამუშაოთ ლენინიზმის მიხედვით. ახალგაზრდობას უნდა ვასწავლოთ საკითხების დასმა ლენინისებურად, პირდაპირ, ურყევად. აი რატომ უნდა გავამსჭვალოთ ლენინიზმის სულით მთელი ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობა, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ეხლა, რომ ახალგაზრდა ინტელიგენციის რიგებში ვამჩნევთ ახალ მიმდინარეობათა ჩასახვას.

რ. კ. პ. მეცამეტე ყრილობაზე ამხ. ზინოვიევი ლაპარაკობდა „მენშევიზმის საფრთხეზე. ჩვენში კი, საქართველოში, ეს ახალი ე. წ. „საბჭოთა“ მენშევიზმი უფრო მკვეთრად გამოსჩანს. მრავალია „ყოფილები“ ინტელიგენციიდან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენ მოგვკლავს, ბოლშევიზმი გადაგვარდებაო. მათ ლოიალური პოზიცია უჭირავთ, გვაქებენ კიდეც. ეს ახალი მენშევიზმი ძველიდან იმით განირჩევა, რომ ძველ საკითხებს პირდაპირ აყენებს, მისი მოღალატეობა აშკარაა, „ახალი“ კი,—ძლიერ ფრთხილია, თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ უფრო საშიშია.

უნდა ვისწავლოთ მისი გარჩევა, უნდა მივიღოთ ზომები, რომ კომკავშირის ახლო მდგომი ახალგაზრდობის შეგნება არ მოწამლონ ამ სიბინძურით და რომ ახალგაზრდობამ მხედველობიდან არ გაუშვას მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივები. საკითხი ძლიერ სერიოზულია, საჭიროა, რომ ჩვენმა პარტიამ ამ მხრივ მიიღოს ყველა ზომები და აღზარდოს ჩვენი კომკავშირებიდან ნამდვილი ბოლშევიკი-ლენინელები. ესვე დახმარებას გაგვიწევს ჩვენ ახალ სოციალური შუაფენების შეფასებაში. ასეთი უარყოფითი გავლენა შესაძლებელია შემოიჭრეს კომკავშირში მოწაფეების საშუალებით—ამასაც ყურადღება უნდა მიექცეს. კომკავშირს შეუძლია დაისახოს ადვილათ შესასრულებელი ამოცანა—გაადიდოს თავისი წევრების რიცხვი 30000 კაცამდი. აქედან არა ნაკლებ 22 პროცენტისა უნდა შეადგენდენ ახალგაზრდა მუშები, 60 პროც.—გლეხი-ახალგაზრდობა, 18 პროც.—მოწაფეობა და ინტელიგენცია. მოწაფეებს უნდა გაუღოთ კომკავშირის კარები და მივიღოთ მომავალ წელში 400—500 კაცი, მაგრამ ამ მიღებით არ უნდა გადიდდეს მათი სოციალური შემადგენლობა ორგანიზაციაში. მათი მიღება უნდა მოხდეს ინტელიგენციის წრიდან გაურკვეველი ელემენტების გაწმენდის ხარჯზე.

შემდეგ 30.000-დი უნდა გავადიდოთ ბავშვთა რიცხვი კომუნისტურ ჯგუფებში ისე, რომ პირველ რიგში მივიღოთ მუშების ბავშვები და გავაფართოოთ ეს ორგანიზაცია ქალაქისა და სოფლის შრომის სკოლების ხარჯზე.

აღმზრდელობითი მუშაობა იმდენად სერიოზულად არის დაყენებული, რომ ორი-სამი წლის შემდეგ მთელი მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენი გავლენის ქვეშ იქნება. მეორე მხრივ უნდა გავაძლიეროთ კომკავშირის ხელმძღვანელი წრე და ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები კომკავშირის რეზერვად გადავაქციოთ.

ახალი სკოლისათვის ბრძოლაში ჩვენ სერიოზულ შედეგებს მივაღწიეთ მუშა-ახალგაზრდობის განათლების დარგში და გლეხ - ახალგაზრდობის სკოლების მშენებლობის საქმეში. საჭირო რომ მომავალ წელში მთელი საქართველო მოვფინოთ გლეხ-ახალგაზრდობის სკოლებით. უნდა მოვამზადოთ სოციალისტური მეურნეობის მშენებლები.

არმიაში, იმის გამო, რომ იქ კომკავშირელების რიცხვი იზრდება (ქართულ დივიზიაში არანაკლებ 40 პროცენტისა კომკავშირელები შეადგენენ), კომკავშირის კოლექტივების შექმნა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. კომკავშირში პარტიული ხელმძღვანელი წრის გადიდება 4-დან 12 პროცენტამდი,—ამ ამოცანის შესრულება შეიძლება, პარტიამ დახმარება უნდა აღმოგვიჩინოს ამ საქმეში, ვინაიდან კომკავშირს დიდი მოვალეობა ეკისრება. მუშაობის გაძლიერება და შესაფერ დონეზე დაყენება ახალგაზრდა ქალებს შორის—კავშირის მორიგ ამოცანას შეადგენს, მართალია წრეულს ჩვენ გვაქვს მიღწევები ამ მხრივ (მათი რიცხვი 0,4 პროც. გაიზარდა და ახლა ისინი 6 პროცენტს შეადგენს), მაგრამ ეს არ არის საკმაო. უნდა შევეცადოთ გავადიდოთ მათი რაოდენობა 15 პროცენტამდი მაინც. სოფლის პოლიტგანმანათლებელ მუშაობას დიდი წარმატება ჰქონდა სისტემატიზაციის მხრივ—ის უნდა შესაფერად მოვაწყოთ. ამას გარდა სოფლად თანდათანობით იზრდება დაქირავებული მუშა-ხელის რიცხვი. მათი ეკონომიური ინტერესების დაცვა და მათგან კომკავშირის მთავარი ბაზის შექმნა სოფლად—კომკავშირის გადაუდებელ და საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს. დაბოლოს ყრილობის დღის წესრიგში დგას საკითხი კომკავშირისათვის ლენინის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის სახელწოდების მინიჭების შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ სახელწოდებასთან ერთად, ჩვენი კომკავშირი თავისი მუშაობით გაამართლებს ამ დიდ სახელს. კომკავშირი გახდება მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ღირსი.

ჩვენ არ გვქონდა საშუალება ამ წერილში ვრცელი ანალიზი გაკეთებია აქ აღნიშნულ საკითხებისათვის მაგრამ ამოცანები ისედაც ნათელია და გარკვეული. კომკავშირი ახლა ახალგაზრდობის ფაქტიურად ერთადერთი მასიური ორგანიზაცია არის. მან შექმნა თავისი რეზერვი—ბავშვთა მოძრაობა. მთელი ეს ჯაჭვი-კომპარტია, კომკავშირი და ბავშვთა კომუნისტური ჯგუფები გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა. ამ რგოლებს შორის სწორი ურთიერთ გავლენა უნდა არსებობდეს და საქმის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება.

სალამი ყრილობის დელეგატებს! წინ, მეტი ლენინისებური სიმტკიცით!

გ. დევდარიანი.

კომინტერნის მსოფლიო კონგრესი

„კომინტერნი მუშაობს ლენინის მიერ ნაჩვენები გზით“

დელეგატები სავსებით იწონებენ აღმასკომის მუშაობას

დელეგატების დიდმა უმრავლესობამ დაგმო ამხ. რადეკის გამოსვლა

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

გადახრა მარჯვნივ და მარცხნივ.

მოსკოვი. 23 ივნისი. „კომინტერნის მეხუთე კონგრესმა, ამბობს ამხ. ზინოვიევი, ანალიზი უნდა გაუკეთოს განვლილ ეტაპს, რომლითაც ჩვენ უნდა ვიაროთ მომავალში“.

შეეხო რა კომინტერნის ისტორიას, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მისი პირველი მთავარი კადრი შეიმნა მე-2-ე ინტერნაციონალისაგან, ხოლო მეორე—ახალი თაობისაგან, რომელიც ომის დროს წარმოიშვა. სოციალ-დემოკრატიის ნაშთები თავს იჩენენ კომინტერნში, მაგრამ იმავე დროს შემჩნეულია გადახრა მარცხნისაკენაც, რომელთა წინააღმდეგ ბოლშევიზმი სასტიკად ილაშქრებდა.

ჯერ კიდევ მეორე კონგრესზე მემარცხენე ფრთამ გაილაშქრა პარლამენტებში და პროფკავშირებში მონაწილეობის წინააღმდეგ; 3-ე კონგრესზე მარტში მომხდარ აჯანყების გამო, წარმოიშვა შეტევის თეორია და მარცხნივ გადახრა. **მაგრამ მეოთხე კონგრესმა ჩამოაყალიბა ერთიანი ფრონტის ტაქტიკა და მიიღო მუშათა და გლეხთა მთავრობების ლოზუნგი;** ამავე დროს სწარმოებდა ბრძოლა მარჯვნისაკენ გადახრის წინააღმდეგ. „უნდა ვსთქვათ, რომ უკიდურეს მემარცხენეების შეცდომების გამოსწორება სულ ადვილია, თუ დაუზოგავად უკუ ვაგდებთ მემარჯვენეთა შეცდომებს. **ჩვენ მივდივართ ლენინის გზით, ვინაიდან პირველი ჩვენი თავდასხმა მიმართულია მარჯვნიდან მოსალოდნელ საფრთხის წინააღმდეგ** და ამავე დროს ვიბრძვით „მემარცხენეთა ბავშვურ ავადმყოფობის“ წინააღმდეგ.

ამბობენ, რომ აღმასკომმა მემარჯვენე თავი მოჰკვეთა გერმანიის კომპარტიასო. მაგრამ ასეთი დამსახურება კომინტერნს არ მიუძღვის, ვინაიდან ის დიდი ხნის განმავლობაში ხელს უწყობდა ამ მემარჯვენე ფრთას.

რუსეთის კომპარტიაშიაც იჩინა თავი წვრილ-ბურჟუაზიულმა გადახრამ, რამაც დიდი იმედებით აღუვსო სოციალ-დემოკრატები. **ეს იმედები მათ არასოდეს არ გაუმართლდებათ.** ასეთი მემარჯვენეობა შემჩნეული იყო საფრანგეთის და ამერიკის კომპარტიებშიაც.

გარდა მემარჯვენეთა შეცდომებისა, ადგილი ჰქონდა უკიდურეს მემარცხენეების შეცდომებსაც. აღმასკომი გაბედულ ბრძოლას აწარმოებს მემარცხენე რადიკალიზმის წინააღმდეგ და მას დაუშვებლად მიაჩნია ყოველგვარი თეორეტიული რევიზიონიზმი“.

ფაშიზმს ძალა ეკარგება.

გადადის რა დღევანდელ მდგომარეობის ანალიზზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მოვლენები ვითარდებიან უფრო ნელა, ვიდრე ამას მოველოდით. მაგრამ მდგომარეობა ობიექტიურად რევოლიუციონურია. **კომინტერნის ბალანსი კარგია, ვინაიდან მან შესძლო მრავალ მონარქების დამხობა, მთელი ქვეყნის მეექვსედი ნაწილის დაპყრობა, აზიაში რევოლიუციონური მოძრაობის გაფართოვება და კომპარტიის განმტკიცება.** შეეხო რა მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას, მომხსენებელმა განაცხადა, რომ მეოთხე კონგრესმა იწინასწარმეტყველა დემოკრატიული პაციფისტური ხანა, რომელსაც დღეს ადგილი აქვს ინგლისსა, საფრანგეთსა და დანიაში. მეხუთე კონგრესი წინასწარმეტყველებს ამ ხანის დასასრულს და ფაშიზმის რეაქციის დასაწყისს.

მენშევიკების „მუშაობა“

დღევანდელ მდგომარეობაში ახალი არის ის ფაქტი, რომ სოციალ-დემოკრატია მონაწილეობას იღებს მართვა-გამგეობაში, როგორც მესამე ბურჟუაზიული პარტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბურჟუაზიას არ შეუძლია მარტოთ დარჩენა და დასახმარებლად მოუწოდებს ერთის მხრივ სოციალ-დემოკრატიას, მეორეს მხრივ ფაშიზმს.

რაც შეეხება მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობას, რიცხობრივად კომინტერნი თითქმის ისეთივე ძლიერია, როგორც მეორე ინტერნაციონალი.

კომინტერნის მთავარი ამოცანები.

კომინტერნის მთავარ ამოცანებს წარმოადგენენ კომპარტიის მოწყობა საწარმოო უჯრედების პრინციპის საფუძველზე, პროფკავშირების სწორი ტაქტიკის გატარება და სწორი პოლიტიკის წარმოება ნაციონალურ და გლეხობის საკითხებში. წინააღმდეგ გათიშვის ტენდენციებისა საფრანგეთის და გერმანიის სოციალ-დემოკრატებს შორის, ჩვენ მივისწრაფით პროფესიონალური მოძრაობის ნამდვილ მთლიანობისაკენ მთელს მსოფლიოში. ეს პოლიტიკა უნდა შეფარდებულ იქნეს იმის შეგნებასთან, რომ ჩვენ ყველგან არ წარმოვადგენთ უმრავლესობას; რომ ჩვენ გვესმის ეს პოლიტიკა როგორც რევოლიუციონური ტაქტიკა ბრძოლების ნელი განვითარების პერიოდში. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგებს არ სურდათ გაეგოთ, რომ ერთიანი ფრონტის ტაქტიკა არის მხოლოდ საკითხი აგიტაციისა მასების მობილიზაციისათვის.

ასეთს, ხშირათ შემცდარ განმარტებას აძლევდენ მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგს. ეს ლოზუნგი იშვა რუსეთის რევოლიუციისათვის, სადაც **ის ნიშნავდა პროლეტარიატის დიქტატურის პსევდონიმს.** მაგრამ ზოგიერთი პარტიები ოპორტიუნისტულად განმარტავდენ მას, როგორც სხვადასხვა მუშათა და გლეხთა პარტიების კოალიციონურ მთავრობას. დიდი დავა იყო იმის შესახებ, თუ როგორ მომხდარიყო ერთიანი ფრონტის გამოყენება, ქვეიდან თუ ზევიდან. **ერთიანი ფრონტი ქვევიდან ყოველთვის აუცილებელია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ უმცირესობაში ვართ,** მაგრამ ამ ტაქტიკის გამოყენება ხოება, ცხადია, არა როგორც მეთოდის, არამედ როგორც მანევრის—მასების მობილიზაციისადვის. ერთიანი ფრონტი მხოლოდ ზევიდან არასოდეს არ უნდა იქნეს გამოყენებული, მაგრამ სამწუხაროდ ამ ფორმას უფრო ხშირად მიმართავენ. ჩვენ არ გვინდა ერთიანი ფრონტის ტაქტიკის რევიზია, მაგრამ ვებრძვით ამ ტაქტიკის ოპორტიუნისტულ გადამახინჯებას.

ერთიანი ფრონტის ტაქტიკამ, მიუხედავად ყველა შეცდომებისა, დიდი სარგებლობა მოგვცა. **ინგლისის კომუნისტებმა ამ ტაქტიკის შემწეობით ძალიან დიდი გავლენა მოიპოვეს ადგილობრივ ორგანიზაციებში.** მიუხედავად ბელადების მიერ ამ ტაქტიკის შემცდარად გაგებისა, ისინი მუშაობდენ სავსებით სწორად.

მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი.

მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელიც წარმოშვა რუსეთის „რევოლიუციამ, ეს სწორი ლოზუნგია, ვინაიდან მუშათა და გლეხთა მთავრობა წარმოადგენს მასებისათვის გასაგებ და შესაფერ ფორმას პროლეტარული დიქტატურისას. მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი შესაძლებელია იქ, სადაც ბრძოლა ხელისუფლებისათვის პირველ რიგში სდგას. ეს ტაქტიკა სისწორით გამოყენების შემთხვევაში საუკეთესო გარანტიაა პროლეტარიატისათვის გერმანიაში. მაგრამ აქაც იყო ცდა ოპორტიუნიზმის შემწეობით ჩაეკლათ ლენინიზმის ეს ცხოველმყოფელი წყარო.

ინგლისის კომპარტიის მნიშვნელობა

გადადის რა ცალკე ქვეყნების მდგომარეობაზე, ამხ. ზინოვიევი დაასკვნის, რომ **პოლიტიკურად ინგლისის პარტია წარმოადგენს კომინტერნის უმნიშვნელოვანეს სექციას.** ინგლისის კომპარტიის წევრთა რიცხვი უდრის თითქმის 3000-ზე ნაკლებს, მაგრამ **მისი გავლენა ძალიან დიდია.** მისი ამოცანა არ არის ადვილი, ვინაიდან მუშებს კიდევ სჯერათ მაკდონალდის. მაგრამ ის აუცილებლად უნდა წავიდეს ამ მიმართულების წინააღმდეგ და ებრძოლოს მაკდონალდს, მიუხედავად მისი დროებითი პოპულიარობისა.

მეხუთე კონგრესის მთავარი ამოცანაა—აღმოფხვრას მემარჯვენე საფრთხე, ან შეასწავლოს უკიდურეს მემარჯვენეებს ან აწარმოოს ბრძოლა მათ წინააღმდეგ და შექმნას მტკიცეთ შეკავშირებული კომუნისტური პარტია.

საუკეთესო ძალები კომინტერნს.

რუსეთის კომპარტიის **სახელით** მომხსენებელი აცხადებს, რომ **რუსეთის კომპარტია შეკავშირებული რიგებით სდგას კომინტერნის აღმასკომის მხარეზე. კონგრესმა უნდა სთქვას თავისი უკანასკნელი სიტყვა რუსეთის კომპარტიაში დაწყებულ დისკუსიის შესახებ, უთხრას ოპოზიციას, რომ მომავალში დაუშვებელია ფრაქციონული ტაქტიკა. ლენინი აღარა გვყავს და ამიტომ საერთაშორისო დისციპლინა საჭიროა ათასჯერ მეტად, ვიდრე წინად.** კომინტერნის აღმასკომმა უფრო ენერგიულად, ვიდრე წინად, უნდა გაატაროს ეს დისციპლინა საერთაშორისო მასშტაბით და სასტიკად დასაჯოს ამ დისციპლინის დამრღვევნი, როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან. რუსეთის კომპარტია საუკეთესო თავის ძალებს აძლევს კომინტერნს, ყველა პარტიები უნდა მოიქცენ ამგვარადვე, რათა შეიქმნეს ერთიანი მსოფლიო კომუნისტური პარტია, რომელიც გამარჯვებისაკენ წაიყვანს პროლეტარიატს.

21 ივნისის დილის სხდომა

კამათი

იტალიის წარმომადგენელი **როსპი** ბოდრიგის ჯგუფის სახელით სცდილობს გაამართლოს თავისი თანამოაზრენი, რომლებიც ბრალს სდებენ მემარცხენეებს შეცდომების ჩადენაში და აცხადებს, რომ ბოდრიგის ჯგუფი იზიარებს ერთიანი ფრონტის ტაქტიკას ქვევიდან ეკონომიურ ფრონტზე და უარყოფს მას პოლიტიკურზე. იტალიის სოციალისტურ პარტიასთან გაერთიანების საკითხში ბოდრიგის ჯგუფი მხარს უჭერს იტალიის სოციალისტურ მასებთან გაერთიანებას კომპარტიის ხელმძღვანელობით. კომინტერნის დღევანდელი ტაქტიკა სხვადასხვა გვარია, რაც დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. დიდმა ლენინმა იცოდა მანევრები, პატარა ლენინები კი პერიფერიების მიმართ თავს იჩენენ, როგორც ოპორტიუნისტები. კომინტერნში არ არის საშიშროება მარცხნიდან, არის მხოლოდ საფრთხე მარჯვნიდან.

შმერალი (ჩეხო-სლოვაკი) ამბობს, რომ ჩეხო-სლოვაკიის პარტია, ისე როგორც სხვა კომპარტიები, გარდა რუსეთის კომპარტიისა, არ არის ჯერ კიდევ საკმაოდ ბოლშევიკური პარტია.

პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ეროვნულ და გლეხთა საკითხებს, ანვითარებს ფაბრიკა-ქარხნების მოძრაობას და ახდენს პარტიის რეორგანიზაციას საწარმოო იაჩეიკების პრინციპების მიხედვით. ერთიანი ფრონტის ტაქტიკის სისწორით გატარებამ და გლეხთა საკითხის გამოყენებამ გამოიწვია დაშლა აგრარულ და კლერიკალურ პარტიაში და შეასუსტა სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები. არჩევნებში ჯარისკაცების 40 პროც. ხმას აძლევდენ კომუნისტებს.

პრაგაში მოწვეულ კომპარტიის უკანასკნელ ყრილობის რეზოლიუცია დამყარებულია მეოთხე კონგრესის რეზოლიუციებზე. მომავალში პარტია გააძლიერებს მუშაობას ერთიანი ფრონტის შესაქმნელად ქვევიდან და ძალიან დიდ სიფრთხილეს გამოიჩენს ამ ტაქტიკის ზევიდან გატარების დროს.

ამხ. რადეკის სიტყვა

ამხ. რადეკი რუსეთის კომპარტიის დელეგაციის ნებართვით იცავს თავის თვალსაზრისს, რომელიც 13 ყრილობამ უარჰყო. ეხება რა საქსონიის ამბების ანალიზს, ამხ. რადეკი აღიარებს, რომ მან თავის დროზე ვერ შეაფასა შექმნილი რევოლიუციონური სიტუაცია და მას დიდ შეცდომად მიაჩნია კომუნისტების შესვლა საქსონიის მთავრობაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობის ნებადაურთველად. დამარცხების მთავარ მიზეზად ამხ. რადეკი სთვლის მასიურ ორგანიზაციების ნაკლულოვანებას.

ამ ჟამად დასმულია მთავარი საკითხი, ბოლშევიკებმა მომავალშიაც უნდა სთქვან თუ არა უარი სოციალ-დემოკრატებთან და სხვა მუშათა პარტიებთან კოალიციაზე.

გერმანიის კომპარტიის ნაკლი.

ამხ. რადეკი ილაშქრებს პრინციპიალურ უარყოფის წინააღმდეგ. მსოფლიოს ეკონომიურ მდგომარეობის შეფასებაში არსებობს წინააღმდეგობა, ვინაიდან სადაოა საკითხი იმის შესახებ, მოსალოდნელია კაპიტალიზმის გაფურჩქვნა თუ დაცემა.

მიუხედავად კონგრესის უმრავლესობის საპროტესტო ხმებისა, ამხ. რადეკი აკრიტიკებს გერმანიის კომპარტიის ცეკას თეზისებს და ამტკიცებს, რომ კომპარტიის აგიტაცია შესუსტდა და კომპარტია საკმაო ყურადღებას არ აქცევს მუშაობას გლეხობასა და საშუალო ფენებს შორის. რეიხსტაგის გახსნის დროს კომუნისტებმა არ გამართეს მასიური დემონსტრაციები; ექსპერტთა გეგმების წინააღმდეგ არ სწარმოებს ენერგიული ბრძოლა. ამხ. რადეკი წინადადებას იძლევა შედგენილ იქნას სპეციალური კომისიი გერმანიის კომპარტიის მოქმედების შესამოწმებლად.

ახალი ეტაპი.

ამხ. რადეკის აზრით, ამხ. ზინოვიევის გამოსვლა ნიშნავს 4 კონგრესის რეზოლიუციის გაუქმებას ერთიან ფრონტის და მუშათა და გლეხთა მთავრობის საკითხში. ამხ. რადეკი არ ეთანხმება ამხ. ზინოვიევს იმაში, რომ კომინტერნი პირველ კონგრესის შემდეგ წარმოადგენდა პროპაგანდის საზოგადოებას. ბავარიის და ჰუნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკები ამტკიცებენ წინააღმდეგს. 1921 წლის მარტში მომხდარ ამბების, იტალიის მიერ ქარხნების ხელში ჩაგდების, პოლონეთის წინააღმდეგ გალაშქრების შემდეგ შეიქმნა სრულიად ახალი მდგომარეობა.

ახალი ეტაპის ტაქტიკა განისაზღვრებოდა ერთიანი ფრონტით, რაც აღნიშნული იყო გერმანიის კომპარტიის ღია წერილში. აღმასკომის წევრთა ერთმა ნაწილმა გაილაშქრა მაშინ ამ ღია წერილის წინააღმდეგ, მხოლოდ ერთმა ლენინმა დაუჭირა მას მხარი. დიდი ხნის განმავლობაში ერთიანი ფრონტის ტაქტიკა არ იყო გატარებული.

ერთიანი ფრონტისათვის.

შემდეგ ორატორი აქვეყნებს ამხ. ზინოვიევის თეზისების პროექტს მუშათა მთავრობის შესახებ და 4 კონგრესის რეზოლიუციას ამ თეზისების გამო და სცდილობს დაამტკიცოს, რომ გერმანიის კომპარტიის ლეიპციგის ყრილობა და ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის პრაგის ყრილობა გამომდინარეობდენ ამ თეზისებიდან. ამხ. რადეკის აზრით, ამხ. ზინოვიევი დღეს მხარს უჭერს ამ რეზოლიუციების გაუქმებას. ტრენი და ზოგიერთი გერმანელი ამხანაგები იდგენ ამ რეზოლიუციების პლატფორმაზე, გერმანიის მემარცხენე ფრთა და ბოდრიგას ჯგუფი აწარმოებდენ მათ წინააღმდეგ ბრძოლას და ვერ შეიგნეთ გარდამავალ პერიოდის ტაქტიკა. ამხ. ზინოვიევის ფორმულა, რომ მუშათა მთავრობა პროლეტარიატის დიქტატურის ფსევდონომია, სწორი არ არის ერთიანი ფრონტის ტაქტიკა სინდისიერათ უნდა იქნას გატარებული.

დასკვნაში ამხ. რადეკი აღნიშნავს, რომ უმცირესობა ემორჩილება კონგრესის დადგენილებებს, მაგრამ პროტესტს აცხადებს მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდების გამო, რომ თითქოს ის იყოს ოპორტიუნისტი.

21 ივნისის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 23 ივნისი. **სევერინგი** (გერმანია) ამბობს: „გერმანიის პროლეტარიატმა ხელიდან გაუშვა ოქტომბერში ისტორიული მდგომარეობა. ამ დიდი შეცდომების მიზეზია გადახრა მარჯვნისაკენ, ამიტომ ჩვენი მთავარი ამოცანაა—ბრძოლა მარჯვნიდან მოვლენილ საფრთხის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ 4-ე კონგრესი სცდილობდა გამოენახა საერთო ენა ჩეხოსლოვაკიის გერმანიის და იტალიის ორგანიზაციებთან. ამხ. რადეკმა ამაზე არაფერი არა სთქვა თავის სიტყვაში და ამით დაამახინჯა ისტორიული ფაქტები. კომპარტიის ლეიპციგის ყრილობამ კი გაბედულად გაილაშქრა 4 კონგრესის მთავარ იდეის წინააღმდეგ, ვინაიდან ბრანდლერი სცდილობდა არ დაეშვა ყრილობაზე ბერლინის, ჰამბურგის და რურის ორგანიზაციები, რომლებიც იყვენ მაშინდელ ოპოზიციის ყველაზე ძლიერი ორგანიზაციები.

მხოლოდ ამხ. ზინოვიევის და აღმასკომის ჩარევამ თავიდან აგვაშორა განხეთქილება. გერმანიის მემარცხენე ფრთა აწარმოებს ბრძოლას არა მანევრების, არამედ ოპორტიუნიზმის წინააღმდეგ.

ამხ. რადეკი უფრო მეტადაა პასუხისმგებელი გერმანიის კომპარტიის მარჯვნისაკენ გადახრისათვის, ვიდრე ბრანდლერი. რადეკიზმის საფუძველია—ევროპის რევოლიუციის იმედის უქონლობა. რადეკს და ბრანდლერს სურდათ ევროპის ყაიდაზე აღეზარდათ ბალშევიზმი, ისინი სთვლიდენ სოციალ-დემოკრატიას ევროპის მუშათა მოძრაობის ყველაზე დიდ ფაქტორად და მათ შესაძლებლად მიაჩნდათ მუშათა მთავრობის შექმნა ბურჟუაზიულ დემოკრატიის ჩარჩოებში, რაც არსებითად ნიშნავს ლენინის თეორიის უარყოფას სახელმწიფოს და რევოლიუციაში პარტიის როლის შესახებ.

ბრანდლერის და შმერალის ფორმულიროვკა მუშათა მთავრობის შესახებ არის არა შემთხვევითი, არამედ სისტემატიური ოპორტიუნისტური თეორია. კომუნისტები თავისი სახით უნდა ეჩვენონ მასებს, რათა გადმოიბირონ სოციალ-დემოკრატი მუშები. ამხ. ზინოვიევის ფორმულიროვკა მუშათა მთავრობის შესახებ, როგორც სააგიტაციო ლოზუნგი, სავსებით მოხერხებულია, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი კოალიციისა სოციალ-დემოკრატებთან. ერთიანი ფრონტის ტაქტიკა იყო მასების გაერთიანების ცდა, მაგრამ მისი გამოყენება საქსონიაში იყო დანაშაული.

ამხ. რადეკის თეზისი, რომ ფაშიზმმა დაამარცხა სოციალ-დემოკრატია, ოპორტიუნისტულია. ამხ. რადეკს სურდა აეგო ჩვენი ტაქტიკა უთანხმოებაზე ბურჟუაზიულ ბანაკში, რაც თავის თავად ოპორტიუნისტულია.

რადეკიზმის საფრთხე.

შემდეგ ბრიტანეთის კომპარტიაზე და ვეიდენისის (ჰოლანდია) და ტალგეიმერის ზოგიერთ განცხადებებზე მითითებით ამხ. სევერინგი ამტკიცებს, რომ რადეკიზმი წარმოადგენს საფრთხეს საერთაშორისო მასშტაბით. „ამხ. რადეკმა,—განაგრძობს სევერინგი,—აღიარა შეცდომათ კომუნისტების შესვლა საქსონიის მთავრობაში ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების ყრილობის ნებადაურთველად მაგრამ თვით ამხ. რადეკი ყოველ მხრივ აჭიანურებდა ამ ყრილობის მოწვევას, მან უარჰყო ჩვენი წინადადება ამ საკითხის შესახებ.

ამხ. რადეკმა გააუქმა ანტი-ფაშისტური დღე გასული წლის ივლისში, ის დაჟინებით მოითხოვდა მაისის გაფიცვეს შეჩერებას რურის ოლქში და აკავებდა მასებს ბრძოლისაგან გაფიცვების პერიოდში კუნოს მთავრობის დროს.

ბრძოლა ოქტომბერში იყო შესაძლებელი და აუცილებელი, მაგრამ ხემნიციდან რადეკისებურმა პარტიულმა ზედა ფენებმა მისცეს დირექტივები უარი ეთქვათ გამოსვლაზე მაშინ, როცა ჰამბურგმა გადასწყვიტა გამოსვლა.

ნაკლი.

ოქტომბრის დამარცხების შემდეგ ამხ. რადეკმა აკრძალა დისკუსია გერმანიის კომპარტიაში, მას მიჰყავდა პარტია გათიშვისაკენ, რასაც ხელი შეუშალა მხოლოდ კომინტერნის აღმასკომმა. ეხლა პარტია გაჯანსაღებული და გადარჩენილია აღმასკომის მიერ.

ამხ. რადეკის პოზიცია რუსეთის კომპარტიაში გამართულ დისკუსიაში ეთანხმება მის ოპორტიუნისტულ ხაზს გერმანიაში. **ეხლა გერმანიის კომპარტია ახალი ხელმძღვანელობის საშუალებით გამოვიდა შეკავშირებული ოქტომბრის დამარცხებიდან.** უკიდურესი მემარცხენე მიმდინარეობა, როგორც ორგანიზაციული ჯგუფი, არ არსებობს. ცეკა ებრძვის მენშევიკურ გადახრას, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ შინაპარტიული გადაჯგუფების შედეგს. ახალი ცეკა უშვებს შეცდომებს, მაგრამ ამჩნევს მათ და ასწორებს. გერმანიის კომპარტიის ცეკას მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მისი წევრები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ შესწევთ ჭეშმარიტი ბელადების უნარი, უთავბოლოდ მისდევენ მასების განწყობილებას. ახალმა ცეკამ უნდა აღმოფხვრას ბრანდლერიზმი, ვინაიდან კიდევ არსებობს მემარჯვენე საფრთხე.

კომპარტიის ტაქტიკის სისწორე.

კომპარტიის ტაქტიკა ჰალეში და ფიურსტენვოლდში ამას წინათ მომხდარ ამბების დროს და მელითონეთა ყრილობაზე სწორი იყო. ფაბრიკა-ქარხნების ხელახალ არჩევნებში კომპარტიამ ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. ის დამარცხდა მხოლოდ იქ, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ბრანდლერიზმი.

ცეკა დიდხანს რყევაში იყო პროფკავშირების საკითხის შესახებ, მაგრამ ამ ჟამად ენერგიულ ბრძოლას აწარმოებს პროფკავშირებიდან გამოსვლის წინააღმდეგ.

ბრძოლის ახალი პერიოდი.

ექსპერტების გეგმა ქმნის ბრძოლის ახალ პერიოდს; პარტია ამავე დროს არ ივიწყებს ხელისუფლებისათვის უშუალო ბრძოლის ამოცანას. ერთიანი ფრონტის საკითხში კონგრესმა თითეულ ქვეყანას კონკრეტიული დირექტივები უნდა მისცეს. შმერალის დღევანდელი განცხადება საუკეთესო გაკვეთილს წარმოადგენს: ის მოწმობს იმას, რომ ჩეხო-სლოვაკიაში თავიდან არ არის აცდენილი საქსონიის შეცდომების საფრთხე.

რაც შეეხება ბრიტანეთის კომპარტიას, ის კომუნისტური უნდა იყოს სამუშაო დღეებში და არა მარტო კვირაობით და უფრო ენერგიულ ბრძოლას უნდა აწარმოებდეს მაკდონალდის წინააღმდეგ.

უმთავრესი ამოცანა.

დასასრულს ამხ. ზევერინგი აღნიშნავს, რომ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ბრძოლა რადეკიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მასშტაბით და მთლიანი რკინისებური მსოფლიო ბოლშევიკური პარტიის შექმნა.

ამხ. ვენცელი ჩეხო-სლოვაკიის დელეგაციის უმცირესობის სახელით აცხადებს, რომ სავსებით ეთანხმება ამხ. ზინოვიევის კრიტიკას ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცეკას მიმართ. „შმერალის დღევანდელმა განცხადებამ,—ამბობს ვენცელი—გარკვეულობა შეიტანა მდგომარეობაში: ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ საკმაოდ არ არის დაძლეული ოპორტიუნისტული ტენდენციები. შემდეგ ვენცელი აღნიშნავს, რომ ცეკა გულგრილად უყურებდა რუსეთის და გერმანიის საკითხებს, რამაც გააძნელა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის თანამშრომლობა კომინტერნთან.

ბალკანეთის კომუნისტური ფედერაცია

ვოშკოვიჩი ბალკანეთის კომუნისტური ფედერაციის სახელით **სრულ სოლიდარობას უცხადებს კომინტერნის აღმასკომს.** ომის საფრთხე, ნაციონალური და გლეხთა საკითხები და იმპერიალისტურ სახელმწიფოების ბრძოლა ემუქრებიან წონასწორობას ბალკანეთში. ბალკანეთის ფედერაცია ღებულობს ამხ. ზინოვიევის ფორმულიროვკას ერთიანი ფრონტის და მუშათა მთავრობის შესახებ.

გირშე (ჩეხო-სლოვაკია) აქვეყნებს ჩეხო-სლოვაკიის ახალგაზრდობის კომკავშირის განცხადებას, რომელშიაც ნათქვამია, რომ პარტიამ დაუშვა ოპორტიუნისტული შეცდომები აგრარულ და ნაციონალურ საკითხებში. განცხადებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ძალიან ნელი ტემპით სწარმოებს პარტიის გარდაქმნა საწარმოვო უჯრედების პრინციპის მიხედვით. უნდა მოხდეს პარტიის სრული ბოლშევიზაცია.

სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა შესდგება 23 ივნისს.

მეცნიერება-ტექნიკა

ტელეფონით გამოლაპარაკება მარსთან.

მარსის დედამიწასთან მოახლოების გამო დიდი მზადებაა ევროპისა და ამერიკის მეცნიერულ წრეებში. „სკეპტიკოსებიც,“ ე. ი. ვინც მარსზე ცოცხალ არსებათა არსებობას უარყოფს და „ოპტიმისტებიც, ე. ი. ისინიც, ვინც მარსზე ადამიანების არსებობაში არიან დარწმუნებულნი, გაცხოველებულ მუშაობას ეწევიან, შესაფერ პუნქტებში სდგამენ ტელესკოპებს, რეფრაქტორებს და პლანეტების შესასწავლათ საჭირო სხვა იარაღებს.

ევროპაში გარდა უკვე არსებული ობსერვატორიებისა, როგორც უკვე იყო ნათქვამი ჩვენ გაზეთში. იდგმება ტელესკოპი იუნგფრაუს მწვერვალზე, ალპებში. აქვე ცნობილი ინჟ. მარკონი სდგამს რადიოს, რომ ნიშნები გაგზავნოს მარსზე.

ასეთივე მზადება სწარმოებს ამერიკაშიც. ამერიკულმა ფიზიკმა გერნბეკმა მარსთან კავშირის დაჭერის ძველი პროექტი,—სიგნალიზაცია სხივებით,—განავითარა, შეურთა რადიო-ტელეფონს და ამ ახალი აპარატის საშუალებით აპირებს მარსის მცხოვრებლებთან გამოლაპარაკებას.

გერნბეკის აპარატი მას ჩვეულებრივი ტელეფონის აპარატიდან აქცევს ელექტრო მაგნიტურ ტალღებათ. ეს ელექტრო-მაგნიტური ტალღები უერთდება სინათლის სხივებს, რომლებსაც სპეციალური სარკით ისვრიან მარსისაკენ.



ჩვენი სურათი გვიჩვენებს ფიზიკოსს გერნბეკს თავისი აპარატით. სპეციალური სარკე ისვრის 8 მარსისაკენ ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს სინათლის სხივებთან შეერთებულს ორი ვიწრო ზოლი ასეთივე სხივებია, მხოლოდ ორ სხვა შორ მანძილზე დადგმული აპარატებიდან.

მარსის მცხოვრებლებს, თუ ასეთები არსებობენ (და თან კულტურული ხალხი არიან, განვითარებული აქვთ ტეხნიკა და სხვა), შეუძლიათ ელექტრო-მაგნიტური ტალღები ისევ ხმებათ აქციონ. ამრიგათ მათაც შეუძლიათ გამოგვიგზავნონ „ჩვენ ტელეფონოგრამა“ თავის ცდებს გერნბეკი მოახდენს 11 აგვისტოს.

ქრონიკა

■ **გლეხკომების მუშაობის გასაძლიერებლად.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა თბილისის მაზრის გლეხკომს მუშაობის გასაძლიერებლათ გადასცა ასორმოცდაათი მანეთი.

■ **წყალსადენი გარეუბნებში.** წყალსადენის სამმართველო უკვე შეუდგა წყალსადენების გაყვანას მუშათა უბნებში. ლენინის რაიონის მუშათა უბანში გაყვანილი იქნება წყალსადენი ორ ქუჩაზე და დიდუბეში ერთ მთავარ ქუჩაზე. წყალსადენი გაყვანილი იქნება კიდევ ექვს რაიონში.

■ **ავტომობილების მიმოსვლა.** დაიწყო ავტომობილებით მიმოსვლა ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის შორის.

■ **საზღვარგარეთ მივლინება.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ პროფესორი ვირსალაძე მიავლინა საზღვარგარეთ მკურნალობის ახალი მეთოდების შესასწავლათ.

■ **სახ. მამულების ტრესტი.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა მიწადმოქ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი სახალხო მამულების ტრესტის წესდება.

■ **ტფ. და მისი მაზრის აფთიაქები.** საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით განსაკუთრებულ ხელშეკრულებით ქ. აღმასკომს გადაეცა 15 აფთიაქი ქ. ტფილისში და 4 აფთიაქი ტფილისის მაზრაში.

■ **მკურნალობა გოგირდის აბანოებით.** დამზღვევმა სამკურნალო ქვე-განყოფილებამ მოაწყო ავადმყოფთათვის მკურნალობა გოგირდის აბანოებით. ავადმყოფებმა გოგირდის აბანოებით სამკურნალოთ უნდა მიმართონ მოწმობის ასაღებათ მუშეიდე რაიონის ამბულატორიის ექიმს.

■ **გვალვა აფხაზეთში.** მიწადმოქ. კომისარიატის ცნობით აფხაზეთში გვალვების გამო გავრცელებულია სასოფლო-მეურნეობის მავნეები. გვალვები გრძელდება.

■ **ღარიბ მოსახლეობისათვის.** გორის აღმასკომმა გორის კოოპერატივს ღარიბ მოსახლეთა შორის გასანაწილებლათ გადასცა 4,000 ფ. სიმინდი და 2000 ფ. ხორბალი.

■ **ქიმიურ თავდაცვის საზოგადოება.** ქ. აღმასკომმა ქიმიურ თავდაცვის საზოგადოებას „დობროხიმს“ დახმარების სახით გადასცა 5,000 მანეთი.

■ **სასოფლო-სამეურნეო მასალები.** საქ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველომ დაამუშავა 1923 წ. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აღწერის მასალები.

■ **ოთახების ნიხრი ბორჯომში.** ბორჯომის აღმასკომმა მოაგარაკეებზე გასაქირავებელ ოთახებზე დააწესა ნიხრი. ნიხრი ვრცელდება აგრეთვე წაღვერზე, ცემზე და ბაკურიანზე.

■ **სატარიფო საკითხი.** სატარიფო საკონფლიქტო საქმეების მოსაგვარებლათ შრომის კომისარიატმა ჭიათურაში, ფოთში, ქუთაისში და ბათომში გაგზავნა თავისი წარმომადგენლები.

■ **ელექტრო სადგური აბასთუმანში.** ახლო ხანში სრულებით დამთავრდება ელექტრო-სადგურის აგება აბასთუმანში. კურორტი ზოგ ადგილას უკვე ნათდება ელექტრო-სინათლით.

■ **მეცხვარეთა ამხანაგობა.** ახალქალაქში დაარსდა მეცხვარეთა ამხანაგობა. ამხანაგობას უკვე ჰყავს 200 წევრი.

ღაროვეის და დიმიტ. ლობაშვილის საქმე, რომელთაც, ბრალდებათ ფულის მითვისება და ყალბი ანგარიშების შედგენა.

■ **განათლების კომისარიატის მიმდინარე სახკოლო სტატისტიკა.** განათლების კომისარიატი მომავალი წლიდან შემოიღებს ყველა სკოლაში სკოლის მიმდინარე სტატისტიკას. განათ. კომისარიატი და ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო იმუშავებენ საერთო გეგმას სკოლის სტატისტიკის შემოსავლებათ.

■ **აბხაზეთის საბავშვო სახლი.** ამ მოკლე ხანში თბილისიდან გაგრაში გადაყვანილი იქნება აბხაზეთის საბავშვო სახლი.

■ **საბავშვო სახლებში მომუშავეთა კურსები.** განათ. კომისარიატი ახლო ხანში ზაფხულის განმავლობაში კოჯორში ხსნის საბავშვო სკოლებში მომუშავეთ გადასამზადებელ კურსებს კურსები უნდა გაიარონ ყველა საბავშვო სახლების მასწავლებლებმა.

■ **ნიკო მარი გურიაში.** აკადემიკოსი ნიკო მარი ამჟამად იმყოფება გურიაში თავის სამშობლო სოფელ ხიდისთავში.

■ **ლენინის ნაწერების გამოსაცემად.** ა.—კ. ცენტრალმასკომმა ლენინის ნაწერების ადგილობრივ ენებზე გამოსაცემათ ა.—კ. რესპუბლიკების ცენტრალმასკომებს გადასცა 25,000 მან.

■ **სიმშილობის წინააღმდეგ ბრძოლა** ა.—კ. ცენტრალმასკომმა [illegible] ვინაიდან, შემჩნეულია [illegible] რაიონებში [illegible]ქის მაზრაში, მიიღოს ენერგიული ზომები სიმშილობის წინააღმდეგ და მცხოვრებთა უზრუნველსაყოფათ.

■ **სასოფლო-სამეურნეო სკოლა.** ა.-კ. ცენტრალმასკომმა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო სკოლის გასახსნელათ გადასდო 20,000 მან.

■ **ა.—კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია.** ა.—კ. ცენტრალმასკომმა ა.—კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ დაინიშნა ამხ. ნაზარეტიანი,

■ **წყლის ფასი.** სამხედრო მოსამსახურეებმა, პენსიონერებმა, ინვალიდებმა და სტიპენდიანტმა სტუდენტებმა წყალზე შეღავათის მისაცემათ, ვალდებულნი არიან წარუდგინონ სახლის პატრონებს შესაფერასი მოწმობანი სამ თვეში ერთხელ.

■ **დახმარება უმუშევრებს.** 25 ივნისს დამზღვევი განყოფილება გასცემს ივნისის თვის დახმარებას გემოკვების, ქიმიკოსთა და ახალგაზრდა უმუშევრებზე.

■ **ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება.** ხუთშაბათს, 26 ივნისს, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში მოხდება საზოგადოების წლიური სხდომა. დღის წესრიგი: 1. შალვა მიქელაძე—Sprue საქართველოში (პირადი გამოკვლევანი) 2. გამგეობის წლიური ანგარიში. 3. გამგეობის არჩევნები. საზოგადოების წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა. დასაწყისი საღამოს 8 საათ.

შემთხვევები

■ ცეცხლი. 20 ივნისს ვეძინის ქ. № 12. მოქ. მოტერისის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩქარა ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

■ გაქცევა. 20 ივნისს მე-4 კომისარიატის სამმართველოს საპატიმროდან გაიქცა პატიმარი ნიკოლოზ ოდიკელიძე.

■ **კოოპერატივის გაქურდვა.** 19 ივნისს ბოროტმოქმედებმა გაქურდეს მე-9 ლეგიონის კოოპერატივი.

■ ქურდობა. 20 ივნისს, მატინოვის ქ. № 5 გაქურდეს თამარ ჯანდიერის ბინა, ქურდების ადგილას შეიპყრეს ვ. ტუზერთოვას ქალი.

■ ამავე დღეს პლეხანოვის პრ. № 55 გაქურდეს გეგეჭკორის ბინა, წაიღეს იარაღი და 800 მან. ნივთები.

■ ამავე დღეს ფანჯრის გატეხის საშუალებით გაქურდეს იდიევის ბინა (ხუდადოვის ქ. № 3).

ხელოვნება

პირველი სიმფონიური კრება.

პირველი სიმფონიური კრება მთლიანათ მიძღვნილი იყო გლაზუნოვის შემოქმედებისათვის.

გლაზუნოვი თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი და უნიჭიერესი კომპოზიტორია რუსეთში. ის რიმსკი-კორსაკოვის მოწაფე და მიმდევარია, ის ეკუთვნის ახალი რუსული სკოლის მუსიკალურ მოღვაწეთა ციკლს. გლაზუნოვი თავის ნაწარმოებებში ამუშავებს წმინდა მუსიკალურ ფორმებს, ის უმთავრესათ მისდევს სილამაზეს; თუმცა მის ნაწარმოებებში არ სჭარბობს მელოდია, როგორც ამას ადგილი აქვს ჩაიკოვსკის შემოქმედებაში, მაგ ამ მისი მუსიკა მხიარული და ნათელი ფერებით არის აფერადებული.

მეხუთე სიმფონია, რომელიც შესრულებული იყო ამ საღამოს, კომპოზიტორის ერთ-ერთი საუკეთესო სიმფონიური ნაწარმოებია. მასში ბევრია საუცხოვო მუსიკალური პერიოდები.

სონატა „საშუალო საუკუნოებში“ შესდგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი არის პრელიუდია, რომელიც მეტათ პოეტური და მუსიკალურია. მეორე ნაწილი—„სიკვდილის ცეკვა“—უფრო ნაკლები ღირსების ნაწარმოებია, რადგან ის ლისტის და სენ-სანსის ამავე სახელწოდების პოემის მიბაძვაა.

მშვენიერია მესამე ნაწილი „ტრუბადურის სიმღერა“ და მეოთხე ნაწილი „ჯვაროსნები“.

პოემა „სტენკა რაზინი“ პროგრამული მუსიკაა; ამ პოემაში გლაზუნოვი მუსიკალური შტრიხებით ასურათებს რაზინის აჯანყებას (ხმოვანების თანდათანობითი ზრდა ორკესტრში). პოემა გლაზუნოვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია.

მთელი პროგრამა შესრულებული იყო ორკესტრის მიერ. ორკესტრმა შესძლო ყველა საუცხოვო ადგილების გამოყოფა. სტოლერმანი თვალყურს ადევნებს მუსიკალურ სილამაზეს და სისწორეს, ის მხატვრულ ნიუანსებს იძლევა და ამავე დროს ერიდება ეფექტებს.

პ. ბ.

—

■ **სახალხო კონცერტი.** დღეს, 24 ივნისს რუსთაველის თეატრში იმართება ძუკუ ლოლუას ლოტბარობით სახალხო სიმღერების კონცერტი.

■ **წითელარმიელთა კლუბში.** დღეს, წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბში გაიმართება დიდი სამხიარულო საღამო.

■ **დისპუტი თეატრზე.** ოთხშაბათს, 25 ივნისს, რუსთაველის თეატრში ფორეგერი წაიკითხავს მოხსენებას ახალი „თეატრი და წითელი კონსერვატიზმი“. მოხსენების შემდეგ გაიმართება დისპუტი კ. მარჯანიშვილის, გრ. რობაქიძის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, სუტირინის, ავერბახის, ახმეტელის, ჩერნიევსკის და სხვ. მონაწილეობით.

■ **ბაჩანას საღამო.** ამ დღეებში ქართულ კლუბში გაიმართება პოეტ ბაჩანას საღამოს.

■ **„დინამიტი“.** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „დინამიტი“ ქუთაისის პროლეტარულ მწერლობის კავშირის თვიური ორგანო. ჟურნალი შეიცავს სამს განყოფილებას და ლამაზად არის გამოცემული.

პროვინციაში

პროვოკაციული გამოსვლა

(სელიმის კორესპონდენტის გამო გურიიდან)

„კომუნისტის“ ივნისის № 136-ში მოთავსებულია ვიღაც სელიმის კორესპონდენცია ოზურგეთის მაზრიდან მდინარე ბჟუჟზე ბოგირის აგების შესახებ.

არიან მტრები, არიან უვიცნი მოყვარენიც, რომლებიც უნდობლობას სთესენ ადგილობრივ ხელისუფლებასა და მშრომელ გლეხკაცობას შორის. ამის მაგალითია სელიმის წერილი; ის პროვოკაციულია.

სელიმი უფრო ენდობა თურმე ვიღაც ვიგინდარა, ძველ ნამამასახლისარ ურუშაძეს, მის „პატიოსნებას“ (რა თქმა უნდა მამასახლისურ პატიოსნებას), ვიდრე სამაზრო აღმასკომს და მის კომუნალურ განყოფილებას, ნამამასახლისარმა ურუშაძემ და სელიმმა თურმე ადგილობრივ ხელისუფლებაზე უკეთ იციან როდის და სად რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში, უკეთ იციან დაცვა ხალხის ინტერესებისა.

სამაზრო აღმასკომი? მისი კომუნალური განყოფილება? მათ არაფერი იციან, ისინი ფლანგავენ ხალხის ქონებას. აი, რა აზრია გატარებული ხსენებულ წერილში, აი რანაირ პროვოკაციას ეწევა ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ სელიმი, მერე ჰქონდა ამის უფლება სელიმს? ჰქონდა საბუთი? მაგრამ არა, ჩვენ არსებითად მის წერილს ამჟამათ არ ვეხებით: თვით ოზურგეთის ხელისუფლება თუ საჭიროთ დაინახავს, ამ მხრით სათანადო პასუხს თვითონ გასცემს *)

ჩვენ გვაინტერესებს წერილის პროვოკაციული მხარე და მისი ავტორი, თუ ის პარტიულია, უნდა მიეცეს პასუხისგებაში პარტიული დისციპლინის მიხედვით...

ჩვენ უნდა დავიცვათ ადგილობრივი ხელისუფლების პრესტიჟი და მცხოვრებლებთა მათდამი ნდობა უსამართლო თავდასხმებისაგან, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ემყარება ადგილობრივ ხელისუფლებას და მშრომელ მასას.

ხოლო ვინც ამის ხელისშემშლელია, ის უნდა აილაგმოს...

ა. დოლიძე.

---

*) ეს პასუხი უკვე გამოვაქვეყნეთ (იხ. „კომუნისტი“ № 141—996).

რედ.

მუშათა ცხოვრება

მუშა-მსახიობის ზეიმი

(გრ. ანაშვილის სიუბილეო დღეობის გამო).

თბილისის კომუნალურ წყალსადენის სახელოსნოში მუშაობს ზეინკალი გრ. შახნაზაროვი. მუშა ჩუმი, უჭყინარი, ყველასთვის საყვარელი პიროვნება და პატიოსანი მუშაკი.

ეს მუშაკი **გრ. შახნაზაროვი—მსახიობობაში გრ. ანაშვილი—ოცი წელზე მეტია,** რომ ეწევა დაულალავ-დაუზარელ და კეთილ სინდისიერ სასცენო მოღვაწეობას ჩვენი ღარიბი სცენის აღორძინების საქმეში.

იგი ოცი წლის განმავლობაში სახალხო მსახიობის ნიკო გოცირიძის ხელმძღვანელობით მუშაობდა „სახალხო სახლში“ და უბნის პატარა თეატრებში—აუდიტორიებში.

ამხ. გრ. ანაშვილის ამპლუას შეადგენს შემდეგი როლები: საქო („მსხვერპლი“), დანტე („იმედის გაცრუება“), ბედემაბაუ („პედაგოგები“), აკოფა („ხანუმა“) და სხვა.

დაკისრებულ როლებს ამხ. ანაშვილი ყოველთვის პირნათლათ და შესაფერისი განცდით ასრულებს.

მიიღო რა მხედველობაში ამხ. გრ. ანაშვილის ოცი წლის ნაყოფიერი სასცენო მოღვაწეობა, კომუნალურ მუშაკთა კავშირის ქართული დრამატიული წრე, წყალსადენის ადგილკომი და კულტუჯრედი უმართავს მას 26 ივნისს სადღესასწაულო საღამო-წარმოდგენას ცენტრალურ მუშათა კლუბში. იმედია მშრომელი საზოგადოება დააფასებს ამ იშვიათი მუშა-მსახიობის მოღვაწეობას და შესაფერ პატივს სცემს მას.

მუშკორი **ათანასე განიძე.**

ისევ კოჯორის თავლია ჭებზე

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

რუსული ანდაზაა „სანამ მეხი არ გავარდება, გლეხი პირჯვარს არ გადიწერს“-ო. განმეორებით მივმართავ ქალ. ჯან. განყოფილების საკურორტო ნაწილს გაფრთხილებით, რომ კოჯრის თავლიად მიტოვებული თითქმის ყოველ აგარაკთან ძველი ჭები დახურული უნდა იქნეს ფიცრებით, თორემ იმ ბავშვებს, ვისი სახელიც ქვია ამ აგარაკს, დიდი საფრთხე მოელის, ვინმე მათგანი აუცილებლად ჩავარდება შიგ. ერთხელ უკვე მიუთითე მე „კომუნისტი“-ს ერთ-ერთ ნომერში ამხ. ჩხეტიას ასეთ კატასტროფის შესაძლებლობაზე, მაგრამ მან არ ინება არა თუ არ დაეხურა ჭები, არამედ უბრალო პასუხის მიცემაც.

ასეთი გულგრილობა დაუშვებელია და შეუწყნარებელიც.

მუშკორი **ა. ნ.**

მეტი ყურადღება აბანოებს.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ორ-კვირაში ერთხელ მაინც უხდება აბანოში ბანაობა იმ მუშებს, რომლებიც ისეთ სამუშაოს ასრულებენ, რომ ძრიელ ჭუჭყიანდებიან.

დღეს აბანოებს დიდი ყურადღება მიაქცია აღმასკომმა. ის რემონტები, რომლებიც მან უყო აბანოებს, სიამოვნებას ჰგვრის მობანავეებს: სუფთად შელესილი კედლები, პრიალა იატაკი, გამშვენიერებული აუზი და მუშებისათვის ხელმისაწვდომი ფასები,—ყველა ეს მუშას უფრო ჩქარ-ჩქარა იწვევს საბანაოდ, აყვარებს მას სისუფთავეს. მხოლოდ აქ ყურადღება მისაქცევია ერთი მდგომარეობაზე, რომელსაც თუ ყურადღება არ მიექცა, შეუძლია დიდი ზარალი მიაყენოს მუშების ჯანმრთელობას.

ეს არის სისუფთავის დაცვა საერთო აბანოში თვით მობანავეთა მიერ.

აბანოებში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია დადგენილებები მობანავეთა საყურადღებოდ და თუნდაც ასეთები არც იყოს, ნუ თუ მობანავემ არ უნდა იცოდეს ბანაობის წესრიგი?

საქმე შემდეგშია: როცა ესა თუ ის მობანავე შემოდის საერთო აბანოში, ის, მანამ გაიბანდეს ტანს და უმთავრესად ჭუჭყიან ფეხებს, შემოსვლისთანავე ჩადის საერთო აუზში და იქ იწყებს უმთავრესი ჭუჭყის გაბანას. კიდევ, ზოგიერთები ტანზე ისვამენ „ტალახს“ და ტანი კარგად არც კი გაუბანიათ და ისე ეშვებიან აუზში; ან და საპნის წასმის შემდეგ, ნახევრად გაუბანელი, ჩადის აუზში.

მანამ შენ რაიმე ზომებს მიმართავდე, აუზი ივსება ჭუჭყით და იმის მაგივრად, რომ გასუფთავდე, უფრო ჭუჭყიანდები.

კიდევ ერთი მდგომარეობა:

ზოგიერთი მობანავის ტანი ნამუწუკარივით არის და მას კიდევ ამჩნევია გადაუვალი შავი ლაქები. შეიძლება ეს გადამდები ჭირიანი არ იყოს, მაგრამ, გამოურკვევლობის გამო, უსიამოვნებას იწვევს. იძულებული ხარ ყოველივე ამ შემთხვევაში მიმართო მექისეს და სთხოვო დახმარება.

ყველა ამას უნდა შეებრძოლონ მობანავე მუშებიც, თორემ იქ მივიღებთ სნეულობას.

ინფორ. **მუშა ლადო.**

მუშკოოპის დუქნების გავრცელების შესახებ.

ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (მე-9-რე უბანში) იმყოფებიან უმთავრესად მუშა-მოსამსახურეები და აი სწორედ ეს მუშები განიცდიან დიდ გაჭირვებას, ვინაიდან ამ უბანში არ არსებობს არავითარი დუქანი მუშ-კოოპისა. მუშები იძულებული ვართ, მივმართოთ კერძო მოვაჭრეებს სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგის შესაძენად, ისინი კი ტყავს გვაძრობენ. ფულის ასეთი კრიზისის დროს ველარ ვახერხებთ, რომ ვიხადოთ მუშებმა ყოველდღე ზედმეტი ფასები და ამიტომაც ვსთხოვთ კოოპერატივების მომწესრიგებელ კომისიას გამოიჩინოს შესაფერი ენერგია და გაგვიღოს ამ უბანში კოოპერატიული დუქნები, რაც დაიცავს მუშა ხალხის ინტერესებს ვაჭრების გაუმაძღრობისაგან.

ინფ. **წყაროსთაველი.**

ღამის ტრამვაი უნდა დადიოდეს მუშათა უბნებშიც.

(ტრამვაის დირექციის საყურადღებოდ).

ღამის ტრამვაის მიმოსვლა შემოფარგლულია ქალაქის ცენტრით. შეიძლება ეს უფრო მოსაგები საქმეც იყოს, ვიდრე მუშათა უბნებში ღამით მიმოსვლის შემოღება, მაგრამ არც ის ვარგა, რომ მუშები, ან მათი ოჯახის წევრები იძულებული იყვნენ ფეხით იარონ მივარდნილ კუთხეებში მაშინ, როდესაც უფრო შეძლებული მოქალაქენი ცენტრშიც კი სარგებლობენ ტრამვაით ღამე. საჭიროა მიექცეს ყურადღეეა მუშათა უბნის მოთხოვნილებებსაც და გააგრძელოთ ღამის მარშრუტი საბოლოო სადგურამდე. მასთან მისაღებია რა მხედველობაში მუშათა უბნებში ღამეობით მგზავრთა შედარებით მცირე რიცხვი, შესაძლებელია ვაგონების რიცხვის სათანადოდ შემცირდეს მეორეს მხრივ. როდესაც მცხოვრებლები დარწმუნდებიან, რომ ღამეობითაც დადის ტრამვაი, მგზავრთა რიცხვიც საგრძნობლად გაიზრდება აქ.

მუშკორი **გოგინკა.**

მუშათა ქრონიკა

შრომის გმირი. საქ. პროფსაბჭომ წითელ დაფაზე შეიტანა როგორც შრომის გმირი ქუთაისის ელექტრო წარმოებებში 35 წლის განმავლობაში დაულალავ **შრომისთვის, მუშა ამხ. თადეოზ ვაწაძე.**

— **საზაფხულოდ სწავლის შეწყვეტა.** გადაწყვეტილია შეწყდეს სწავლა ამ ზაფხულის განმავლობაში ცენტ. მუშათა კლუბთან არსებულ პროფტექნიკურ კურსებზე. მომავლისთვის სწავლის გეგმის გამომუშავება მიენდო პროფსაბჭოს კულტ-განყოფილებას.

— **მუშათა კლუბის ასაშენებლად.** გორის მუშა-მოსამსახურეებმა დაადგინეს გორში მუშათა კლუბის ასაშენებლად გაიღონ ორი დღის ხელფასი. ამავე მიზნისთვის გორის მაზრის მუშა-მოსამსახურეებიც იღებენ ერთი დღის ხელფასს.

— **მადლობა დაიმსახურეს.** ხელოვნების კავშირმა მადლობა გამოუცხადა რუსთაველის თეატრის ტექნიკურ მომუშავეებს ამხ. **ვანო ზარდალიშვილს, ვანო მაისურაძეს და სხ.** ერთგული მუშაობისთვის.

— **მუშათა სახლებში.** მუშათა სახლების დამთვალიერებელმა კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი მუშაობა. როგორც გამოირკვა მელითონეთა მუშათა სახლებში ბევრი არაკავშირის წევრები სცხოვრობენ. აღძრულია შუამდგომლობა, რათა გამოსახლებულ იქნენ ისინი მუშათა სახლებიდან.

— **მშენებელთა სექცია შრომის ბირჟაში.** საამშენებლო მუშათა კავშირმა დაადგინა, შრომის ბირჟასთან მოაწყოს განსაკუთრებული შუამდგომელი მშენებელთა სექცია და იქიდგან აწარმოოს მუშების სამუშაოზე გაგზავნა.

— **საკუთარი შრომის ინსპექტორი.** აღძრულია შუამდგომლობა, რათა საამშენებლო მუშათა შრომას პირობების დასაცავად გამოყოფილ იქნეს ცალკე საკუთარი შრომის ინსპექტორი.

რკინისგზელებში

— **მუშების წარმოდგენა ამხ. ორჯონიკიძის კლუბში.** 19 ივნისს, თბილისის საქონლის სადგურის მუშების ახალგაზრდა სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა მუშტაიდში. წარმოადგინეს პიესა „ნილაბ ქვეშ“ და „უბედური დღე“. წარმოდგენით მუშები კმაყოფილი დარჩენ.

— **სხვადასხვა წრეების დაარსება.** დაიწყო მუშების მიღება მუშტაიდის კლუბთან არსებულ სხვადასხვა წრეებში, როგ. მაგალ. დრამატიული, ფიზკულტურის, პროფმოძრაობის, სამუსიკო და საგუნდო.

— **ექსკურსია ბათომში.** რკინისგზის სამმართველოს ახალგაზრდა კომკავშირელები 15 ივლისისათვის ექსკურსიას მართავენ ქ. ბათომში.

— **ხუთეული კამპანიის ჩასატარებლად.** რკინისგზის სამმართველოს გაერთიანებულმა ადგილკომის პლენუმმა „დობროხიმ“-ის კამპანიის რკინისგზელებში ჩასატარებლად აირჩია ხუთეული, რომელსაც დაავალა აღნიშნულ საქმის შესრულება.

— **ქართული ენის კურსებზე:** ამავე სამმართველოში არსებულ ქართული ენის კურსების მსმენელებმა შუამდგომლობა აღძრეს ადგილკომის საშუალებით საუბნო კავშირთან სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ.

დაიცავით სისუფთავე

(რკინ. გზის სამმართველოს და ადგილკომის საყურადღებოდ)

თუ ვინმეს შეხვედრია რკინისგზის სამმართველოს დერეფნებში გავლა-გამოვლა ის უთუოდ შეამჩნევდა, რომ იქ სათანადოდ ვერ არის დაცული სისუფთავე. ყველგან კედლის ძირებში, კუთხეებში და ფანჯრების ჩარჩოებშიაც კი თავმოყრილს მტვერს შეამჩნევთ. ამავე დროს კედლების ძირები, ეტყობა დიდი ხანია, არ ჩამორეცხილა.

ზაფხულში ასეთი მდგომარეობა დაუშვებელია. მით უმეტეს ისეთ დიდ დაწესებულებაში, როგორიც არის რკ. გზ. სამმართველო.

ადგილობრივ ადმინისტრაციას თუ ადგილკომს ეტყობა შეუჩვევია თვალი ამ უსუფთაობისათვის. საჭირო და აუცილებელიც კი იყო მათი ყურადღება და უსუფთაობის მოსპობა.

ინფ. **მიშა.**

იერიში კერძო ვაჭრების წინააღმდეგ (გორის მაზრა)

ა. წ. 15 ივნისს სოფელ მეჯვრისხევში იყო „დღეობა“—უსანეთობა. ამ დღეობაში თურმე დიდი ბაზრობა სცოდნია. ჩვეულებრივ, როგორც დაგეშილნი, აქაური ვაჭრებიც მანუფაქტურით და სხვა საქონლით გაემგზავრნენ ამ დღეობაზედ სოფ. მეჯვრისხევში, რომლებსაც იმედი ჰქონდათ ძველებურათ ეტყუებინათ მშრომელი გლეხობა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. კოოპერატივმა გაილაშქრა ბაზრობის დროს ვაჭრების წინააღმდეგ, აუარებელი პირველ მოთხოვნილების საქონელი გაიტანა უსანეთობის ბაზარზედ. კოოპერატივი ჰყიდდა არშინ ნარმას 29 კაპეიკათ, კერძო ვაჭრები კი არშინ ნარმას ჰყიდნენ 50 კაპ.—რა თქმა უნდა, აქ **კერძო ჩარჩები ველარ ივაჭრებდნენ და აიკრიფეს თავიანთი გუდანაბადი, დააბარგეს თავიანთი საქონელი ურმებზედ და უკან გამოემგზავრნენ.** კოოპერატივმა ერთ დღეში 800 ფუთი მარილი გაყიდა, კერძო ვაჭარს ერთი გირვანქაც ვერ გაუყიდნია და დღეობაზე ატანილი მარილი უკან მოაქვს.

კერძო ვაჭრებს კიდევ აქვთ დარჩენილი ისეთი საგნები, რომელიც კოოპერატივს არ მოეპოვება და ცოტა ხნის განმავლობაში კიდეც გააჩნიათ საარსებო წყარო. ადგილობრივ ჭუმაკებს უკვირდათ, საიდან მოაქვთ კერძო ვაჭრებს საქონელიო. თურმე კიდევ ჰქონიათ საშუალება, როდესაც კოოპერატივის ან ტრესტის და სასოფლო-სამეურნეო ბანკის აგენტებს საბჭოთა ხელისუფლება ფართო ნდობით სჭურავს, აღნიშნული მოსამსახურეებიდან ზოგიერთები თურმე კერძო ვაჭრებთან კავშირს აბამენ. მაგალ. ქალ. ხაშურში შეუყრიათ ვილაც ყოფილ გომის სინდიკატის ვაჭრებს ერთად თავი და გაუხსნიათ მაღაზია ხაშურში ისევ სინდიკატის სახელით, უეჭველია მათ სასოფლო-სამეურნეო ბანკში ჰყავთ ვინმე ნაცნობი და მათი საშუალებით მოაქვთ საქონელი. საქონლის შოვნაშიაც განსხვავებაა, ისეთ ხარისხის საქონელს შოულობენ, რომ კოოპერატივს ისეთი ასორტიმენტი თავის არსებობის დროს არ ახსოვს რომ მოეტანოს. ქალ. გორში ერთ-ერთ კოოპერატიულ კავშირში მოსამსახურეს აღმოაჩნდა დამალული საქონელი შევიოტი 10 თოფამდე, ორმოცდა ათი ოქრო, 16 გირ. აბრეშუმი და სხვა აუარებელი საქონელი. აი, სწორეთ ასეთი ბოროტ-მომქმედნი უშლიდნენ აქამდინ ხელს კოოპერატივის მუშაობას და თავიანთ მოქმედებით კი უწყობდნენ კერძო ვაჭრობას ხელს.

საჭიროა მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ ერთხელ კიდევ მაგრა მოჰკიდოს ხელი ასეთ გაიძვერებს, გადაათვალიეროს მთელი მოსამსახურენი აღნიშნულ დაწესებულებებში, სადაც მოიკალათეს მავნე ძალებმა, გაგავოს რკინის ცოცხით და დამნაშავეს კი მისცეს სათანადო სასჯელი.

ვ. ქურდაძე.

ქ. ჭიათურა

18 ივნისს 1924 წელს ქ. ჭიათურაში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას.

სასადილოში შევიდენ ჩვენი ამხანაგები სადილის საჭმელათ, შ. მოდებაძე, ბ. ხვედელიძე და ი. კირკიტაძე, მათ გვერდით მეორე მაგიდასთან იჯდა მღვდელი გიორგი ჭუმბურიძე, რომელთანაც საუბარი ჩამოაგდეს რელიგიის შესახებ. მღვდელმა უპასუხა, რომ მასაც ეჭვი შეჰქონდა, რომ სამღვდელოება ცრუ მორწმუნეობას ქადაგებდა ხალხში. ის დღეს დარწმუნებულია, რომ ეკლესიებში და ხატებთან ლოცვა არის მხოლოდ ცრუმორწმუნეობა და მეტი არაფერი. მართალია, მე ვმსახურობდი მღვდლათ, როგორც ერთი მოსამსახურე, რომელიც ეძებს ცხოვრების სახსარს, და ეხლა კი მზად ვარ დავტოვო ეს ხელობა და პატიოსან შრომას მოვკიდო ხელი.

თუ ერთ ბლუზას მიყიდით, ეხლავე თქვენს დასწრებით გავიპარსავ წვერს და თმას, გავიხდი სამღვდელო სამოსელს და ვიმუშავებ, როგორც ერთი პატიოსანი მოქალაქე, ოღონდ ანაფორაში და თმაში არ გამოვიხარშო ასეთ სიცხეებში.

ჩვენმა ამხანაგ მუშებმა ღიმილით უპასუხეს, „თუ თქვენი სარწმუნოება ერთ ბლუზაში გამოიხატება, ჩვენ ეხლავე მზად ვართ გიყიდოთო,“ რაც მაშინვე მოიყვანეს სისრულეში. ამის შემდეგ მღვდელმა თითონ სთხოვა ამხანაგებს წაეყვანათ ის სადალაქოში და გაეპარსათ. ამხანაგები გაჰყვენ მღვდელ სადალაქოში, მათ ეგონათ მღვდელი ალბათ ოხუნჯობსო. მაგრამ როდესაც შევიდნენ სადალაქოში მღვდელმა თითონ მოითხოვა დალაქი და უთხრა, რომ გაეპარსათ ის, ამხანაგ მუშებმა დალაქსაც აჩუქეს ათი შაური ისტორიული მღვდლის გასაპარსი.

ასეთი მაგალითი ჩვენს ცხოვრებაში პირველი არ არის. ჩვენი მუშა და გლეხი უკვე თავის თვალით ხედავს, თუ როგორ ცრუ-მორწმუნეობაზე ყოფილა აგებული ჩვენი სამღვდელოების „მოღვაწეობა“.

ჯერ კიდევ არიან ზოგიერთი ჯიუტი მღვდლები, რომლებსაც სცხვენიათ თავიანთი წარსულ ნამოქმედარის ცრუ-მორწმუნოებათ აღიარება მრევლში, მაგრამ დრო მაინც თავისას იზამს და მათ ჯიუტობასაც გასტეხს.

გაუმარჯოს იმ შეგნებულ მუშებს და გლეხებს, რომლებიც არ წამოეგებიან ცრუ-მორწმუნეობის და სამღვდელოების ანკესზე.

დამსწრე **დ. მელქიძე.**

ციმბირის ჭირი სენაკის მაზრაში

ამ დღეებში სენაკის მაზრის რამოდენიმე სოფლებში გაჩნდა ციმბირის ჭირი (ფოცხოში, გეჯეთში, შხეფში და საგრიგოლიოში). სამაზრო აღმასკომის მიერ დასახელებულ სოფლებში დაუყოვნებლივ გაგზავნილი იქნა ბეითალი. ამ ჭირის წინააღმდეგ მიღებულია საჭირო ზომები: გამოცხადებულია კარანტინი, სადაც ჭირი არის, აგრეთვე დროებით ქალაქში და სხვა დაბებში აკრძალულია საქონლის დაკვლა. სოფ. გეჯეთში ავადმყოფობა ადამიანებზედაც გადასულა. ჯანმრთელობის ინსპექტორმა მათ აღმოუჩინა საჭირო სამკურნალო დახმარება. წარმოებს საქონლის აცრა. შეიძლება ეს გამანადგურებელი სენი დროზე ჩაკლულ იქნას, თუ, რასაკვირველია, მოსახლეობა ხელისუფლებასთან ერთად მიიღებს საჭირო ზომებს.

ე. შალ—ძე.

ქ. ფოთი

(ქ. ფოთის აღმასკომის საყურადღებოდ)

ქალაქის ბაღი კარგ ალაგზეა გაშენებული, — დასავლეთით აკრავს მდინარე რიონი, რომელიც გრილს და სასიამოვნო ჰაერს ჰფენს ამ ბაღს. მაგრამ, სამწუხაროდ, აღმასკომი მას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და მასთან სანიტარული კომისიაც. აქ მუდამ, დღე-ღამე ბალახობს საქონელი —ცხენები და სხვა, რომლებიც სვრიან ბულვარის მშვენიერ მოლებს და ადამიანისათვის შეუძლებელი ხდება დასვენება, რადგანაც აუცილებლათ იცის, რომ რაიმე უსუფთაობას წააწყდება. სანიტარული კომისია კი უფრო სხვა საქმეებშია ალბად გართული და ერთხელაც არ შეუმჩნევია, თუ როგორი უსუფთაობაა ერთი მხრით კიოსკის გვერდით, მეორეს მხრიდან სავადმყოფოს მხრიდან და შიგ ბულვარში, გორკას მახლობლადაც. ფოთში უკვე ძალზე ცხელა და თუ დროზე არ მიექცა ამას ჯეროვანი ყურადღება, შეიძლება გავრცელდეს საშინელი სენი, რომელიც იმსხვერპლებს ღარიბ მშრომელთ; მდიდრებს კი შეუძლიათ სხვაგანაც წავიდნენ.

ფ—ი მეთვალყურე.

ქ. თელავი

ქალაქში ერთ-ერთ კულტურულ დაწესებულებად ითვლება პროფკავშირთა კლუბი. ხშირად ირჩევენ მის ახალ გამგეობას, მაგრამ რეალურად თითქმის არაფერი კეთდება. უნდა დაარსდეს სათანადო წრეები ზაფხულის პერიოდთან შეფარდებით და გაჩაღდეს სისტემატიური მუშაობა. ინტელიგენცია, რომელიც საკმაოდ მოიპოვება, აქტიურად უნდა ჩაებას ამ მუშაობაში.

არავითარი მოსაზრებით არ არის მიზანშეწონილი, რომ პროვინციის ქალაქის მაღაზიები არ იღება და არ იკეტება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. ეს სასწრაფოდ უნდა მოგვარდეს.

ქალაქში დაეხეტება რამოდენიმე უპატრონო—გადმოხვეწილი ბავშვი; უნდა გამოინახოს რაიმე საშუალება მათ დასახმარებლად.

ქალაქში აგრეთვე საჭიროა მეტი სისუფთავე.

ლიაპისი.

პროვინციის ქრონიკა

— **ქ. გორში არსებულ ამხ. კამოს სახელობის უპატრონო ბავშვთა თავშესაფარის სასარგებლოდ,** როგორც ჩვენი კორ. ამხ. „**ლიახველი**“ გვატყობინებს, 15 ივნისს გორის ბაღში გაიმართა ფასიანი ჭიდაობა, საღამოზე კი სახალხო სახლში წარმოდგენა ორივეს საზოგადოება ბლომად დაესწრო. მოწყობილი იყო აგრეთვე ლოტარეია და ბუფეტი. ფული საკმაოდ შემოვიდა. და გადაეცა დანიშნულებისამებრ.

— **მუშათა კლუბი დ. აბაშაში.** ჩვენი კორ. ამხ. ბ. უ. იუწყება, რომ დ. აბაშაში დაუმთავრებიათ მუშათა კლუბის შენობა, რომლის აგება დაწყებული იყო გასულ წელს. კლუბი მშვენივრადაა მოწყობილი.

— **კამპანია კომინტერნის და სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ გარე-კახეთში. ჩვენი კორ. ამხ. სეხნიაშვილი გვწერს:** 15 ივნისს მთელ გარე-კახეთის მაშტაბით იყო ჩატარებული ფართო კამპანიები კომინტერნის მე-5-თე კონგრესის გახსნისა და ერთიან სასოფლო სამეურნეო გადასახადის შესახებ. მობილიზაციის წესით იყვნენ გაწვეულნი ყველა პასუხ. მგ. პარტ. ამხანაგები და ინტელიგენტური ძალები, როგორც მასწავლებლები და აგრონომები. დიდი მიტინგები ჩატარდა—სართიჭალაში, გომბორში, მარტყოფში, საგარეჯოში, ხაშმში და სხვა სოფლებში. ყველგან, საცა კი იყო თეატრები, როგორც—სართიჭალა, გომბორი, მარტყოფი, ხაშმი, პატარძეული, საგარეჯო—დადგმული იყო ახალი პიესები: „ხაფანგი“, „ჩვენ კიდევ მოვალთ“. კარგი ამინდისა და კვირა დღის შეხვედრისა გამო, სოფლის მშრომელი გლეხ-კაცობა ყველგან ხალისით და ბლომად დაესწრო.

პროვინციის ფოსტა

სენაკი. ამხ. ათ. კოკაიას. თქვენი წერილი „სალხინო“ თუ „დიდი ჭყონი“ მეტად დიდია, თუმცა ადგილობრივი თვალსაზრისით საინტერესოა და საკმაოდ დასაბუთებული. უადგილობის გამო და აგრეთვე მოსალოდნელი კამათის აცილების მიზნით, არ წავა. ჩვენ უცდით ამ საკითხზე სამაზრო აღმასკომის დასკვნას.

სალხინო. ამხ. „დიდი-ჭყონელს“. თქვენი კორესპონდენციაც ეხება იმავე საკითხს. ისიც გაჭიანურებულია. ვერ დავბეჭდავთ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— ოთხშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 5 საათზე პლეხანოვის სახელობის თეატრში (ლენინის რაიონში) შესდგება **ლენინის რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო სარაიონო ღია კრება** უპარტიოებთან ერთად.

პარტიის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა, ხოლო უპარტიოების დასწრება სასურველია. დღის წესრიგი: ამხ. ორჯონიკიძის მოხსენება მე-13 ყრილობის შესახებ ქართულ ენაზე.

ლენინის რაიკომის მდივანი—**გოლდბაუმი.**

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში 2 დღის ვადაში: კაჩიაშვილი გ. ტ., ღლონტი ა. ნ., სიხარულიძე ა. ს., რატნერ გ. იაკ., პარასტაევი მ. კ., ორმოცაძე მ. ე., ბარსეგოვი სტ. მ., ვშტუნი აზ., ლორიაშვილი ა. კ., მიკაელიან არ. გ., ლეკარჩუა ნ., არზუმანიან მ., პოლოსოვე ა., ივასიან ოდანეს.

თბ. კომიტეტ. სააღრიცხვო განმანაწ. განყოფილების გამგე—რახმანი.

— ხუთშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 7 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში მოწვეულია **საშეფო უჯრედების წარმომადგენელთა საერთო კრება.**

დღის წესრიგი: 1. სოფლათ მუშაობის შესახებ. 2. საინსტრუქციო მოხსენება ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სავლებო სესხის შესახებ. 3. შეფების და შეფობის ქვეშ აყვანილ სოფლების წარმომადგენელთა კონფერენციის შესახებ. 4. მიმდინარე საქმეები. საშეფო უჯრედების ყველა წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის სააგ.-საპრ. განყოფილება.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი** იუწყება, რომ სამშაბათს, 24 ივნისს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში შესდგება **სარაიონო სადელეგატო კრება** ბიუროების წევრთა და პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1. სააგიტ.-საპროპ. განყოფილების მუშაობის გეგმა ზაფხულზე. 2. ფულის რეფორმის შესახებ. 3. მუშათა მთლიან კოოპერატივის ანგარიში. 4. მიმდინარე საქმეები.

ყველას დასწრება სავალდებულოა. თავის დროზე უწყებების არ დაგზავნისათვის პასუხისმგებელია იაჩეიკის მდივანი.

მდივნის მაგიერ—**აკოპოვი.**

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 25 ივნისს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია **თათბირი, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კოოპერაციის საერთაშორისო დღის გატარების წესრიგი.** დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის: ჭელიძე, ბუხნიკაშვილი, დვორიანოვი, გორდელაძე და მუშკოოპის, ცეკავშირის და წარმოკავშირის წარმომადგენლები.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპ. განყ. გამგე პენიაკოვი.

— **არსენალის რაიკომი** იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 25 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის საზაფხულო შენობაში შესდგება **არსენალის რაიონის პარტიული წევრების და კანდიდატების საერთო რაიონული კრების გაგრძელება.** დღის წესრიგი: 1. მოხსენება პარტიის მე-13 ყრილობის შედეგების შესახებ. ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ მაშკევიჩი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი მამა პეტრე სტეფანეს ძე, და ევგენია პეტრეს ასული თავის ქმრით კლიმენტი სტეფანეს ძე გელაზარიშვილი, ძმა ლევანი, მამიდები ანა სტეფანეს ასული მიხაილოვისა, სონა სტეფანეს ასული სარიაშვილისა, ბიძები მიხეილი და რაფიელი სტეფანეს ძე ერიქაშვილები, დეიდა მარიამი იოსების ასული ასლანიშვილისა თავიანთ ოჯახობით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური დარგის მეოთხე კურსის სტუდენტი

გიორგი პეტრეს ძე ერიქაშვილი

გამოსვენება მოხდება 24 ივნისს, სამშაბათს, ნაშუადღევის 6 საათზე სოლოლაკი ჟუკოვსკის და ორლოვსკის ქ. კუთხე № 19—1. დაკრძალვა სოლოლაკში კათოლიკების სასაფლაოზე. 1298 1—1

ს. ს. რ. კ. გ. მ. ს. კ.

შავი და აზოვის ზღვების გემთა მიმოსვლის სახელმწიფო სამმართველო

გოსჩაპ

ახლათ შეკეთებული პირველხარისხოვანი საზღვაო გემები ყოველგვარი მოწყობილობით და ბუფეტით.

რეგულიარული რეისები კვირაში ორჯერ გასვლით ბათომიდან ოდესაში და ყველა ნავთსადგურებში შესვლით.

ექსკურსიებს და მოწაფეებს შეღავათი მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისის კომერციულ საგენტოში და გამგეობის წარმომადგენლობაში; იქვე სწარმოებს ბილეთების და საწოლი ადგილების გაყიდვა.

ტვირთების მიღება შავი და აზოვის ზღვების ყველა ნავთსადგურებში გასაგზავნათ შეღავათიან პირობებში.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 9, სასტუმრო „ორიანტ“-ის ქვეშ, ტელეფონი 20—44.

ბ. 1247 1—1

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს ქონებაზედ გარდაცვალებულების სიმონი და გრიგოლი პეტრეს ძეების ტერ-გრიქუროვების, რათა განაცხადონ თავიანთ უფლებანი ორი თვის ვადაში.

სახალხო მოსამართლე **თეთრაშვილი.**

1—1 № 1299

შავი-ქვის მრეწველთა
სააქციო საზოგადოების გამგეობა
თანახმად თავის წესდების, პარაგრ. 52 ამით აცხადებს, რომ აქციონერთა [illegible]
საზოგადო კრება
დანიშნულია მიმდინარე წლის ივანობისთვის ოცდა ექვსს ქალაქ ჭიათურაში 12 საათზე, თეატრის შენობაში.

განსახილველი საკითხები:

1. საზოგადოების გამგეობის 1923 წლის მოქმედების ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის 1923 წლის მოქმედების შესახებ.
3. საზოგადოების გამგეობის მოხსენება მიმდინარე 1924 წლის მოქმედების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.
5. 1924 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
6. თანამდებობის პირთა არჩევნები.

ბ. 1177—2—2 **გამგეობა**

რადგანაც სწარმოებს მუშაობა თბილისის ტელეფონის ქსელის კომუტატორის გასაფართოებლად
რის გამო მოხდება ტელეფონის ნომრების ნაწილობრივი შეცვლა.

თბილისი—
ბაქო—
ერევანის

ტელეფონის ქსელის აბონენტთა სია გამოცემული იქნება არა უახლოეს ამა წლის ივლისისა.

დაკვეთები განცხადებების და ხელისმოწერა სწარმოებს ამიერ-კავკასიის საგენტოში—„სვიაზ“ (პლეხანოვის პრ. № 44, მთავარი ფოსტის შენობა).

ეს ცხადდება სახელმწიფო, სამეურნეო დაწესებულებების, წარმოებების და აგრეთვე კერძო პირთა საყურადღებოდ.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის რწმუნებული: **ათარბეკოვი.**

ამიერ-კავკასიის საგენტოს „სვიაზ“-ის გამგეობის თავმჯდომარე: **რუსტანოვიჩი.**

ბ. 1246 1—1

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 25 ივნისისათვის 12 საათზე ზაჰესკომის სამმართველოს დარბაზში (ქალაქის აღმასკომი) დანიშნულია

შეჯიბრება

იჯარით გაცემის ყველა ჩის მისამართზე მოსული ტვირთების რონოდიდან გადმოტვირთვის საწყობებში გადატანით და დაწყობით და შემდეგ ვიწრო ლიანდაგის რონოდებზე დატვირთვით გადასაზიდავათ სამუშაოზე.

მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ მონაწილეობა ამ შეჯიბრებაში განცხადებების შემოტანით, ანაზღაურებული სათანადო საღერბო გადასახადით დაბეჭდილ პაკეთით, რომელიც უნდა ჩაეშვას ყუთში სპეციალურად ჩამოკიდული სამასალო ნაწილის კარებთან.

განცხადებაში უნდა იყოს გამოცხადებული, როგორც თითო ფართო ლიანდაგიანი რონოდის ჩამოცლაზე (900 ფუთი) ან თითო ვიწრო ლიანდაგიანი რონოდის დატვირთვაზე (150 ფუთი), ისე ერთი ფუთი დატვირთვა-გამოტვირთვაზე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სამასალო განყოფილების კანცელარიაში.

სამასალო განყოფილება

ბ. 3—3 1242

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდების ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—14

ექიმი დ. ნ. მატვეევი-მგალობლიშვილი
ყელის, ყურის, ცხვირის და თვალის ავადმყოფობანი.
ოპერატიული მკურნალობა, პლასტიური აპერაციები.
ავადმყოფთა მიღება საღამოს 5-დან 7 ნახ.-მდე კვირადღის გარდა.
ვერა, მლეთის შესახვევი, № 20. 1164—25—13

ქ. თბილისის მე-6 და მე-7 უბნების სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ქამოევი

ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 26 ივნისს, დღის 11 საათზე, მის მიერ იქნება **საჯარო ვაჭრობით გაყიდული** მოძრავი ქონება მოვალე ანნა აკოფოვისა, რომელიც მდებარეობს 1 სრეტენსკი ჩიხში, № 6, მოქალაქე არამ იაგუბიანის დასაკმაყოფილებლად, თანახმად მე-7 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა ა. | წ. 17 ივნის 1924 წელს № 425. ქონება შესდგება ოთახის ავეჯიდან. საჯარო ვაჭრობა მოხდება აღნიშნულ მისამართზედ.

სასამართლოს აღმსრულებელი **ქ. ქამოევი.**

1—1 № 1296

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს შრომის სახალხო სასამართლოსთან სასამართლოს აღმასრულებელი არგუტინსკი-დოლგორუკოვი

ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 25 ივნისს მის მიერ იქნება საჯარო ვაჭრობით გაყიდული გენრიხ მოსევიჩის ქონება დილის ცხრა საათზე 1490 ფ. ფქვილი მეორე ხარისხის, რომელიც იმყოფება აქციონერ საზოგადოების ტრანსპორტის საწყობში, მალაკნის ქუჩა № 48 და იმავე დღეს დილის 12 საათზე იმავე მოსევიჩის სახლის ავეჯი, რომელიც იმყოფება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საწყობში ბებელის მოედანი (ყოფ. არქიელის) № 4 და შესდგება ქვემოდ აღნიშნული ნივთებისაგან: პიანინო „შრედერი“, საწერი მანქანა რემინგტონი, ათწილადი სასწორი, რკინის კასა და სხვა ბევრი, საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 11 ივნისის 1924 წ. № 1491. აღნიშნული ქონება გაიყიდება ზემონაჩვენებ მისამართებზე, სადაც შეიძლება გაისინჯოს გაყიდვის დღეს.

შრომის სახალხო სასამართლოს სასამართლო აღმასრულებელი—**არგუტინსკი-დოლგორუკოვი.**

1257 1—1

დაიკარგა უბნის წიგნაკი პირი მიწ. მოქ. სატყ. განყ. დადებულ ხელშეკრულებისა, გორის სატყ. მოცემ. ბარათები, ხის დამუშავების ქვითარი გორ. სატყეო და 480 მანეთის და სხვადასხვა მოწმობები მელიტონ იოსელიანის სახელზე. წიგნაკის მნახველს ვსთხოვ მოიტანოს: რუსთაველის პრ. № 30 ოდილოვაძესთან, რაშიაც მიიღებს ჯილდოს 10 მ. საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 1295

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 3154, მოცემული სინოდალურ კანტორიდან ლევან საგანელიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 № 1294

დაიკარგა პირადობის მოწმობა. მოცემული დილომის საბჭოს თავმჯდომარის მიერ მცხოვრებს სოფ. წოდორეთში მამედ მაშადი ისა ოღლის სახელზე № 219. ჩაითვ. გაუქმებულად. 1—1 № 1297

სტამბა „ზარია ვოსტოკის“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.